პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონი № კანტორისა № 3—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 193 ხუთშაბათი, 24 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 24 აგვისტო 1922 წ. № 193

დღეს, 24 აგვისტოს და პარასკევს 25-ს მუშაობის დამთავრების შემდეგ, იაჩეიკებზე მიმაგრებული ამხანაგები მართავენ საერთო კრებებს უწყებულ წარმოების მუშებისას.

დღის წესრიგი:

„ცალკე კავკასიის არმიის ისტორია“

ყოველმა წარმოებამ უნდა გამოყოს დელეგაცია, რომელნიც შაბათს 26 აგვისტოს დილის 10 საათისათვის უნდა დაესწრონ არმიის ნაწილების პარადს (ერევნის მოედანზე)

ყოველი რაიონის დელეგაცია 26 აგვ. დილით იკრიბებიან რაიკომებში, იმ ანგარიშით, რომ დილის 10 საათისათვის მოასწრონ მისვლა პარადის ადგილზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა იაჩეიკების გამგეობებს კვირის დღიურ წესრიგში დასვან საკითხი პროლეტარულ რევოლიუციაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ.

(მასალები იაჩეიკებზე მიმაგრებულთათვის: თეზისები—რომელნიც მოთავსებულია გაზ. „კომუნისტის“ 23 აგვისტოს, № 192-ში და ბროშიურა „მეტი ყურადღება პარტიას“, რომელნიც დაგზავნილი აქვს პარტიის რაიონულ კომიტეტებს).

თბილისის კომპარტიის მდივანი კახიანი.

სასურსათო ფრონტზე

ჯერ ჯეროვნით სავსებით დამაკმაყოფილებელია ის ცნობები, რომლებიც მოდიან სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოში პურნახული უკვე მოწეულია, და გაჩაღებულია ნატურ გადასახადის აკრეფა. დღეს გლეხობას სავსებით აქვს შეგნებული თავისი საგადასახადო ვალდებულება მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე, ნებაყოფლობით უდრტვინველად შემოაქვს შეწერილი გადასახადი. ხოლო თუ სადმე იქ თავს წამოყოფენ „კულაკური“ ელემენტები, რომელნიც ურჩობას გაუწევენ საბჭოთა ხელისუფლებას, ან შეეცდებიან წყლის ამღვრევას ცხოვრების მშვიდობიან მიმდინარეობაში, ამ უკანასკნელს საკმაოდ მძლავრი აპარატი გააჩნია, რომ მათ „ჭკუა ასწავლოს“ და წესიერებისაკენ მოუწოდოს.

მიმდინარე სასურსათო გადასახადის კამპანია საყურადღებოა არა მარტო იმ მნიშვნელოვან მატერიალურ შედეგების მხრივ, რომლებიც მას მოყვება არამედ იმ მხრივაც, რომ ის, როგორც ყოველი დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიების გატარება, მკაფიოდ ააშკარავებს საბჭოთა ხელისუფლების საერთო მდგომარეობას და მშრომელი ხალხის დამოკიდებულებას მისდამი.

და უნდა ითქვას, რომ ფრიად დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში შარშანდელთან შედარებით.

შარშან ჩვენ სათანადოდ ვერ ჩავატარეთ სასურსათო გადასახადის კამპანია არა მარტო იმიტომ, რომ ცუდი პურნახული მოვიდა და შიმშილობაც დაგვატყდა თავზე, არამედ იმიტომ რომ მაშინ ჯერ კიდევ მძიმე და მოშხამული იყო ატმოსფერა, ერთგვარი გასავალი ქონდა მენშევიკების და სხვა მემარჯვენე ჯგუფების პროვოკაციას, რომელიც სახელს უტეხდა ხალხის თვალში ახალ ხელისუფლებას და უნდობლობას ბადებდა მისდამი; მეორე მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ მაშინ კიდევ ვერ მოასწრო საერთოდ თავის სახელმწიფოებრივ, კერძოთ სასურსათო აპარატის ისე ჩამოყალიბება—განმტკიცება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ისეთი დიდი საქმის შესაფერი ორგანიზაცია, როგორიცაა სასურსათო გადასახადის საქმე.

როცა ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე სამეურნეო წლის მიწურულში, ვითვალისწინებთ საქმეთა ვითარებას ამ ორი თვალსაზრისით—საბჭოთა წყობილების და მისი მთავრობისადმი მშრომელი ხალხის დამოკიდებულების და ამ ხელისუფლების ორგანიზაციული ჩამოყალიბების და სიმტკიცის მხრივ,—დიდ გარდატეხას და პროგრესს ვამჩნევთ.

ჩვენი ხალხი გამოერკვა, განთავისუფლდა მენშევიკების გავლენისაგან; ამ უკანასკნელების პროვოკაციას და ჭორებს ეხლა არავინ უგდებს ყურს. ჩვენი ხალხი შეეთვისა საბჭოთა წყობილებას და გულში ამოუდგა ჭეშმარიტად სახალხო მთავრობას, რომელიც თავის მხრივ, ასეთი დამოკიდებულებით ზურგ გამაგრებული, თანდათან განმტკიცდა და, მიუხედავად იმ მძიმე ობიექტიური პირობებისა, რომლებშიც ვიმყოფებით, შედარებით იოლად უძლევდა რთულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებს.

თუ დავსვამთ კითხვას, თუ რა გზით და საშუალებებით მიაღწია ახალმა ხელისუფლებამ ასეთ შედეგებს,—პასუხი ერთად ერთი შეიძლება იყოს ესაა—შედეგი ახალ ხელისუფლების განუწყვეტელი და თავდადებული მუშაობისა.

რომელი დარგი გინდათ ჩვენი ცხოვრებისა — მიწის რეფორმა, მუშაობა სასოფლო-მეურნეობის აღდგენისათვის (არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა და სხ.), დამშეულთა დახმარება, სათესლე მასალის დარიგება, გზების გაყვანა, ხიდების აშენება და საერთოდ უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა,—ყველაფერი ეს უშუალოდ უმტკიცებდა ჩვენ ხალხს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი ინტერესების დამცველია, მისი კეთილდღეობისათვის მზრუნველი. ამ გზით მოხდა ძირითადი პსიქოლოგიური გარდატეხა მშრომელ ხალხში, ის სრული თანაგრძნობით და ნდობით განიმსჭვალა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ასეთი განწყობილების საუკეთესო დამამტკიცებელია სასურსათო გადასახადის აკრეფაც, რომელიც ამ ჟამად ხდება.

გლეხობას, როგორც ვთქვით, ხალისით შემოაქვს ნატურგადასახადის მაზე გაწერილი რაოდენობა. ეს გარემოება, გარდა გლეხობის სრული თანაგრძნობისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მისი სახელმწიფოებრივი შეგნებისა, იმასაც მოწმობს, რომ მთავრობამ მხედველობაში მიიღო გლეხობის ინტერესები და მას მცირე გადასახადი შეაწერა, რომლის გაღება რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენს მისთვის, მით უმეტეს ისეთი კარგი პურნახულის დროს, როგორიც მოვიდა წრეულს.

ყველა ეს გარემოება იმას მეტყველებს, რომ ეხლანდელი ნატურ გადასახადის კამპანია ჩინებულად ჩატარდება, და სახელმწიფო საწყობებში თავის დროზე და სავსებით შემოვა მთავრობის მიერ განსაზღვრული გადასახადის რაოდენობა.

ეს, რა თქმა უნდა, დიდ შეღავათს მისცემს სახელმწიფოს. შესაძლებელი გახდება უკეთ მოეწყოს მუშა მოსამსახურეთა და არმიის გამოკვების საქმე.

გადასახადიდან შემოსული ხორბლეული ხელს შეუწყობს მრეწველობის ღონისძიებას, ბაზრის მდგომარეობის მოწესრიგებას და სხ.

მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ აქ დასახელებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სხვა გადაუდებელი მიზნების განსახორციელებლად საკმარისი არ იქნება ხორბლეულის ის რაოდენობა, რომელსაც მივიღებთ სასურსათო გადასახადის სახით. სახელმწიფომ და სხვა ორგანიზაციებმა (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად კოოპერატივები) უნდა მიიღონ ზომები დამატებითი მარაგის შესაძენად. მომენტი ეხლა ხელსაყრელია. ესაა ახალი მოსავალი უკვე გაჩნდა ბაზარზე. ფასები შედარებით მაღალი არ არის. ჩვენ გვმართებს ორგანიზაციული გზით მივიდეთ გლეხებთან და შევიძინოთ მათგან ზედმეტი მის მიერ გასაყიდად განზრახული ხორბლეული. თუ ეხლანდელი დრო ხელიდან გაუშვით, ამ ხორბლეულს შეიძენენ სპეკულიანტები და შემდეგ ჩვენ მოგვიხდება მისი შეძენა ამ უკანასკნელებისაგან, რა საკვირველია, აწეულ ფასებში.

ამიტომ ჩვენ მოვალეობას შეადგენს არა მარტო სასურსათო გადასახადის აკრება, არამედ გლეხებისაგან ნებაყოფლობითი შეთანხმებით პურეულის შეძენა. საშუალებას ჩვენ საამისოდ გამოვძებნით, თუ გამოვიჩენთ საქმიანობის უნარს და ენერგიას.

ცალკე კავკასიის არმიის ისტორია

(თეზისები ცალკე არმიის კავკასიის მე-4 წლის თავისათვის)

რევოლიუციის განვითარების პროცესში და 1917—1921 წლების სამოქალაქო ომის მსვლელობაში, მე 11 ე არმიის ისტორიას უკავია 1 თვალსაჩინო ადგილთაგანი რევოლიუციის საერთო მსვლელობაში.

1. 1918—1919 წლების ზამთარში, კასპიის-კავკასიის ფრონტზე მე 11 და მე-12 არმიების კატასტროფამ წამოაყენა რესპუბლიკის წინაშე ამოცანა ახალი ძალის ორგანიზაციისა, რომელიც შეძლებდა წინააღმდეგობა გაეწია მოპირდაპირე არმიის შემოტევისათვის, რომელმაც დაიპყრო ქალაქი ცარიცინი და რომელიც ანვითარებდა თავის შეტევას ქალ. ასტრახანის აღების მიზნით.

2. ქალ. ასტრახანის აღებას გარდა პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებისა, აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, რადგანაც იგი წარმოადგენს გასაღებს „შავ ოქროსაკენ“, გროზნოსა და ბაქოს ნავთისაკენ, რომელნიც მუდამ წარმოადგენდენ მიზიდველ ძალას დასავლეთ-ევროპის იმპერიალიზმისათვის.

3. 1919 წლის 19 ივლისს არსდება ძლიერი ძალა ამ მხარის დაცვისათვის, ასტრახანის ჯგუფის სახელწოდებით, რომლის სამხედრო შემადგენლობაშიც შედიან კასპიის-კავკასიის ფრონტის მე 11 არმიის დარჩენილი ნაწილები და ამ რაიონში მყოფი სამხედრო ნაწილები.

4. საჭირო იყო მომქმედი ნაწილების გაერთიანებით უფრო მტკიცეთ დარაზმულ აპარატში, რომელსაც ექნებოდა თავდაცვისა და შეტევის ფართო ამოცანები. ფრონტი შეუდგა არმიის ორგანიზაციას, რომელსაც ეძლევა მე-11 სახელწოდება.

5. 1919 წ. აგვისტოში მტრის, საბჭოთა რუსეთის ცენტრისაკენ მსვლელობა, აიძულებს ფრანგების სარდლობას გამოიჩინოს უდიდესი ენერგია მტრის წინსვლელობის შესაჩერებლად. ცარიცინის დასაპყრობად დაწყებულმა მძიმე და ცხარე ბრძოლამ, რომელიც გრძელდებოდა აგვისტოსა, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში, არ მოგვცა დადებითი შედეგები; ახალგაზრდა მე 11 არმია იძულებული შეიქნა დაეხია პირველ პოზიციამდე, რათა მომზადებულიყო ხელი და განუწყვეტელი ოპერაციებისათვის ცარიცინის ასაღებად.

6. ფრონტზე მტრის საერთო დამარცხების დაწყებისას, უმაღლესი სარდლობის დირექტივით, მე 11 არმიას, რომელმაც უკვე მოასწრო მოღონიერება, ბრძანება ეძლევა „აილოს ცარიცინი“ და განაგრძოს წინ მსვლელობა, გროზნის რაიონში კავკასიის რევოლიუციონურ არმიასთან („მწვანეების“) შეერთების მიზნით, რომელიც იმ ჟამად მტრების ზურგში მოქმედებდენ. ამ ბრძანებით დაიწყო არმიის აქტიურ მოქმედებებზე გადასვლის ხანა, რომელმაც იგი ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა.

7. სდევნის რა მტერს, მე-11 არმია ძლევამოსილებით მიიწევს სამხრეთ დასავლეთით, ქალაქ სტავროპოლის ასაღებად. მტერი ფიქრობს სტავროპოლის ზღუდეებთან მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიოს, რადგანაც იგი დარწმუნებულია, რომ სტავროპოლის დაკარგვა ჩააგდებდა მის არმიას კრიტიკულ მდგომარეობაში. 1920 წლის 29 თებერვალს მტერი სტოვებს ქალაქ სტავროპოლს და უკან იხევს ქალ. არმავირ-სადგ. ნევინომისკაიას მიმართულებით.

8. ნოემბერ-თებერვლის ბრძოლების პატარა პერიოდის განმავლობაში, მე 11 არმია შევიდა ჩრდილო კავკასიის საზღვრებში და განაგრძობს მსვლელობას ქალ. არმავირ სადგ.—ნევინომისკაიას მიმართულებით—ავიწროებს რა მოწინააღმდეგეს. თავისი სწრაფი მოძრაობითა და შეტევით იგი სწმენდავს ჩრდილო-კავკასიას მტრის რაზმებისაგან და იღებს ნავთსადგურ პეტროვსკს. მტერი გემებით უკან იხევს აზერბეიჯანისაკენ.

9. აიღო რა ნავთსადგური პეტროვსკი მე 11 არმია აღმოჩნდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების [illegible] წინაშე.

აზერბეიჯანში ამ მომენტისათვის პროლეტარიატის ბრძოლა (ქ. ბაქო) მუსავატის მთავრობასთან და ინგლისელებთან უმაღლეს წერტილს აღწევს. აზერბეიჯანში თავშეფარებული დენიკინის თეთრგვარდიელების მოქმედებამ, დაწყებული თათარ-სომეხთა ჟლეტამ უმთავრესად **წითელი არმიის სიახლოვემ**, აიძულეს მუშები ხელში ჩაეგდოთ ძალა უფლება, მიიწევს რა თავისი გამარჯვების განსამტკიცებლად მე 11 წითელი არმია. 27 აპრილს გამოცხადდა აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. მე-11 არმიის ნაწილები შედიან ბაქოში და ეფინებიან მთელ აზერბეიჯანს.

10. მტერი განდევნილია ჩრდილო-კავკასიიდან და აზერბეიჯანიდან: არმია იკავებს მეზობელ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების მისაზღვრე ხაზს.

11. დამშვიდებული არმიის წინსვლელობით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, წითელი ნაწილების საზღვართან მოახლოვებისას, ყოველგვარ საბაბის გარეშე, უხსნის სროლას ჩვენ ნაწილებს და გადადის აქტიურ მოქმედებაზე.

12. საზღვარზე მომხდარი შეტაკების შედეგებში, მენშევიკური მთავრობა იწყებს მოლაპარაკებას რუსეთის მთავრობასთან საზავო ხელშეკრულების დასადებათ. ამავ დროს საქართველოს ტერიტორიაზე აზერბეიჯანის ბურჟუაზია გაცხარებულ მუშაობას აწარმოებს აზერბეიჯანში აჯანყების მოსაწყობად. 26 მაის ქალაქ განჯაში იწყება აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობენ ბურჟუაზია და ოფიცრობა. აჯანყების ორგანიზაცია ეფინება ყველა ნაწილებს (ზაქათალის ოლქი, განჯის გუბერნია, ყვლას—შუშის რაიონი, ყარაბახი და სხვა ადგილები) მე 11 არმიის ძალები იგზავნებიან აჯანყების ჩასაქრობათ და საბჭოთა წესწყობილების დასამყარებლად აჯანყება. ჩაქრობილია.

13. იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან ურთიერთობა ჩამოყალიბდა ხელშეკრულების ფორმაში, არმიის საგარეო მდგომარეობა სავსებით გამოურკვეველი რჩებოდა, დაშნაკცაკანური სომხეთის საზღვრებთან მიახლოვების გამო. 8 ივლისს არმიისადმი ღონისძიებათა მიღებაზე, რათა მეტი სიფრთხილე იქნეს გამოჩენილი სომხეთის მხრივ რაიმე მოსალოდნელ ცდის და მისი აქტიური მოქმედებისადმი, აღმოსავლეთის რევოლიუციონური მოძრაობის განსავითარებლად, არმიის შტაბი მიმართავს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობის აქტს, იგი იძლევა ბრძანებას რევოლიუციონურ ოსმალეთის არმიასთან კავშირის დადების შესახებ (ბაიაზეთის [illegible]), რომელიც ემყოფებოდა ორდუბატ ნახიჩევანის რაიონში. სომხეთის ჯარის ნაწილები უწევენ წინააღმდეგობას ამ მოძრაობას, დევნიან რა ჩვენ ნაწილებს და იკავებენ ქ. გორისს, XI არმია სათანადო წინააღმდეგობას უწევს შემოჭრილ დაშნაკელებს და განაგრძობს თავის მოძრაობას წინ. ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა სომხეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წ. 11 აგვისტოს თარიღით, აიძულებს არმიის ნაწილებს შეჩერდენ საზღვარზე.

14 საბჭოთა რუსეთსა და სომხეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება მეტად სუსტი აღმოჩნდა. დაშნაკელების მთავრობა ნოემბრის 10 რიცხვში შეტევაზე გადადის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელიც დაგროვილნი იყვნენ ზანგეზურში. სომხეთის მშრომელები უპასუხებენ ამ შეტევაზე აჯანყებით. სომხეთში მყარდება საბჭოთა წესწყობილება.

15) აღმოსავლეთის მოძრაობის დროს წითელი არმია მიადგა სპარსეთის საზღვრებს. ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში XI არმიის შტაბში მიღებული იქნა ცნობები, რომ სპარსეთის მთავრობა შემოტევას ამზადებს იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელიც დაბანაკებული იყვნენ საზღვრებთან და ყოველივე საშუალებით უწევს დახმარებას აჯანყებულ ბურჟუაზიას. სპარსეთის რევოლიუციონური გლეხობა, გრძნობს რა განთავისუფლების მოახლოვებას, სავსებით მხარს უჭერს რევოლიუციონურ არმიას და 18 მაისს რევოლიუციონურმა ფლოტმა ამხ. რასკოლნიკოვის სარდლობით დაიკავა ენზელი და რეშტი. არმიის ნაწილები მოძრაობენ კაზვინის მიმართულებით. სდგება რევოლიუციონური მთავრობა მირზა კუჩუკ ხანის მეთაურობით და სპარსეთის რევოლიუციონური არმია.

ირანის მიმართულებით მოძრაობის შედეგი იყო საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადება და სპარსეთის საზღვრებიდან იმპერიალისტების განდევნა.

16) ამავე დროს ბურჟუაზია, სარგებლობს რა ქართველი მენშევიკების მთავრობის სტუმართ-მოყვარეობით, აწარმოებს მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებად და აწყობს აჯანყებას დაღესტანში.

XI არმიის შტაბი მთელ თავის ყურადღებას აქცევს დაღესტანის და აზერბეიჯანის საზღვრებს საქართველოსთან, რომელიც უწევდა დახმარებას ყოველგვარ ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს, ხოლო დაღესტანის კონტრ-რევოლიუციის ჩასაქრობად გამოყოფილ იქნა თერგ-დაღისტნის ჯგუფი.

17) საქართველოში მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციისაკენ, იწვევს მთელ რიგ აჯანყებებს მთელ საქართველოში, რომელსაც მენშევიკები დიდის სიმკაცრით აქრობდენ. 1921 წლის თებერვალში, როდესაც აჯანყებამ იფეთქა ბორჩალოს მაზრაში წითელი არმია მზად არის დაეხმაროს აჯანყებულებს. სწრაფი ერთი-შებით მარცხდება მენშევიკური გვარდიის ნაწილები; ერთი კვირის სასტიკი ბრძოლის შემდეგ, 26 თებერვალს ეცემა იმპერიალიზმის ციტადელი კავკასიაში. ძალაუფლება გადადის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ხელში.

18 სომხეთთან მიმოსვლის უქონლობამ ჩააყენა არმიის ნაწილები, რომელნიც იდგნენ სომხეთში და აგრეთვე სომხის ხალხი მძიმე სასურსათო მდგომარეობაში. კონტრ-რევოლიუციონური აგიტაციით წაქეზებული სომხეთის ხალხის შეუგნებელი მასები უერთდებიან შავ რეაქციას და ახდენენ გადატრიალებას. მთავრობის სათავეში კვლავ დგებიან დაშნაკელები. პროლეტარები ათასობით გაურბიან დაშნაკურ ხელისუფალთა მძიმე ბორკილებს და უერთდებიან ჩვენ რიგებს.

რევოლიუციონური მხედრობა კრეფავს თავის ძალებს, რათა ჩამოაგდოს ამიერ-კავკასიაში ბურჟუაზიული მთავრობის უკანასკნელი ნაშთები. 1921 წ. 2 აპრილს ამიერ კავკასია თავისუფლდება ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულთაგან და პროლეტარული ხელისუფლება ავრცელებს თავის ძლიერებას ყველა კუთხეში.

19. გაანთავისუფლა რა ამიერ-კავკასია 11 არმიას არ შეეძლო წასვლა და ღვთის ანაბარად მიტოვება, ნორჩი რესპუბლიკებისა, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შეეძლოთ თავისი ძალების დარაზმვა. 11 არმია ღებულობს „ცალკე კავკასიის არმიის“ სახელწოდებას. ცალკე კავკასიის არმია იწყებს თავის აღმშენებლობით მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების განსამტკიცებლად, ეხმარება რა ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ნაციონალურ წითელ-არმიელების მოწყობის საქმეში.

20. წვრილ ბურჟუაზიული პარტიები მენშევიკები და ესერები აგიტაციას ეწევოდენ, რომ ცალკე კავკასიის არმია სრულიად ზედმეტია კავკასიაში. ასეთი აგიტაცია შეუთანხმდა იმპერიალისტების ინტერესებს. ამიერ კავკასიის მშრომლებმა ეს მშვენივრად გაიგეს და საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობამ მიიღო ცალკე კავკასიის არმიის შეფობა.

რადიო-დეპეშები

(„კ ა ვ რ ო ს ტ ა“)

გერმანია და ანტანტა.

ამერიკა და გერმანია.

ნაუენი. 22 აგვისტო (რადიო). კანცლერ ვირტმა მიიღო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობაზე ყოფილი კანდიდატი და ამერიკელ დემოკრატების ლიდერი კოკსი. ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბარში კოკსმა განაცხადა, რომ კანცლერი ვირტი არის ამ ჟამად სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დაკისრებული აქვს დიდი პასუხისმგებლობა გერმანიაში დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცებისა და მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

მარკის კურსის დაცემის შესახებ.

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). მარკის კურსის დაცემის გამო. გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ დაადგინა დროებით შეაჩეროს ფულების ფოსტით საზღვარ გარეთ გადაგზავნა.

გერმანიის პარტიებში.

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). უმცირესობის სოციალისტების კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ ბავარიამ კვლავ შექმნა დაბრკოლებანი, მიმართოს ყველა ლეგალურ საშუალებებს, რათა აიძულოს იგი დაემორჩილოს ცენტრალური მთავრობის ხელისუფლებას.

ბერლინის ოპტიმიზმი.

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). მთავრობის წრეებში ოპტიმისტურად უყურებენ მოკავშირეებთან შეთანხმების შესაძლებლობას. შესაძლებლად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ ისეთი დადგენილების გამოტანას, რომელიც შეძლებს გარანტიების კომისიის დაკმაყოფილებას, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნიათ ისეთ უზრუნველყოფათა წარდგენა, რომელიც ზიანს მიაყენებს გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობას. გერმანია წარადგენს უზრუნველსაყოფად გერმანიის საბაჟოს და სხვა და სხვა მონოპოლიებს, რომელიც წინათ წარდგენილი იყო პარიზში.

მანიფესტაცია ბერლინში.

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). ბერლინის პროფკავშირებმა და ორივ სოციალისტურმა პარტიებმა გამართეს გუშინ მშვიდობიანი მანიფესტაცია. მანიფესტაციაში მონაწილეობდენ სხვა და სხვა დელეგატები და სხვათაშორის არბიტრაჟის საერთაშორისო ლიგის თავმჯდომარე და ტომას კენნედი, ინგლისის მუშათა პარტიის (ლაბურ პარტი) ლიდერი, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ინგლის-გერმანიის დაახლოვება ამ ჟამად ძალიან საჭიროა და მოითხოვა გერმანიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება—ერთა ლიგაში მიღების შესახებ. უმრავლესობის სოციალისტების დეპუტატ კრიუგერმა გაილაშქრა ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის საერთო მშვიდობიანობის ჩამოგდებას. დამოუკიდებლების დეპუტატმა ბრეიტურტმა განაცხადა, რომ მიუხედავათ გერმანიის ინგლისისადმი სიმპატიებისა, გერმანიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ბევრ ფრანგსაც გულწრფელად სურს გერმანიასთან შეთანხმება.

ბელგიის თვალსაზრისი.

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). გაზ. „მატენის“ ცნობით ფინის დელაკურას და საკონტრიბუციო კომისიის ბელგიელ დეპუტატს თათბირი ქონდათ ბრიუსელში, რომელზედაც გადაწყვიტეს, რომ საჭიროა განხორციელებულ იქნეს ფრანგების ინგლისელებისა და ბელგიელების შეთანხმება, ბელგიის მთავრობამ საბოლოოდ გადაწყვიტა დაიცვას საფრანგეთის მხარე იმ შემთხვევაში, თუ გერმანია უარს იტყვის სერიოზულ გარანტიების მიცემაზე.

მოკავშირეთა ვალები

ბორდო. 22 აგვისტო (რადიო). ბარ დე ლიუკში ახალი რკინის გზის შტოს გახსნის დღესასწაულზე პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაწყვეტის მთავარ პირობას შეადგენს გერმანიის ვალების საკითხის გამოყოფა მოკავშირეთა ვალების საკითხიდან.

— გაზ. „მატენის“ ცნობით ლონდონში ყოფნის დროს, პუანკარემ აცნობა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, საფრანგეთის მევალეებს, რომ როგორი შედეგებიც არ უნდა მოჰყვეს ბალფურის ნოტას, საფრანგეთი არ მოსთხოვს მათ ვალების გადახდას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისიც რომ ასევე მოექცეს თავის მევალეებს, მაშინ კონტრიბუციის საკითხი ნაწილობრივ გადაჭრილი იქნებოდა იმ პირობით, თუ გერმანიის ვალები დაყვანილი იქნებოდა იმ რაოდენობამდის, რამდენიც არის მოკავშირეთა ვალები.

ბორდო. 22 აგვ. (რადიო). გაზეთ „მატენს“ აუცილებლად მიაჩნია პარიზში იტალიის, ბელგიის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, რუმინიისა და სამხრეთ სლავიის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევა, რათა საერთო გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი ბალფურის ნოტის საპასუხოდ.

„ევროპის დასასრული“

ნაპი 22 აგვ. (რადიო). იტალიის ყოფილმა პრემიერმა ნიტიმ გამოსცა წიგნი შემდეგი სათაურით: „დიდება და დასასრული ჩვენი დღევანდელ ევროპისა“.

რეპერაციები.

მოსკოვი. 22 აგვისტო (რადიო). გაზ. „ტანის“ აზრით საფრანგეთის მთავრობა ბერლინში მოლაპარაკების დროს მტკიცედ დაიცავს პირვანდელ გარანტიების შესრულების აუცილებლობას, უმთავრესად გერმანიის ნახშირისა და სატყეო მრეწველობის ექსპლოატაციის შესახებ, იმ პირობით, რომ გერმანიას მარატორიუმი მიეცემა მხოლოდ 1922 წლის დამლევამდე. ბერლინის პრესა აფრთხილებს ოპტიმიზმისაგან მომავალი მოლაპარაკების შესახებ. „ფორვერსტი“ ფიქრობს რომ ეს მოლაპარაკება კიდევ ერთხელ დაანახვებს ყველას, რომ გერმანიას კატასტროფიულ მდგომარეობის გამო ვალის გადახდა არ შეუძლია.

ქაღალდის ფული გერმანიაში.

მოსკოვი. 22 აგვისტოს (რადიო) 8 აგვისტოდან 15 მდე ქაღალდის ფულის ხმარება გერმანიაში გაიზარდა 8 მილლიარდი 200 მილიონი მარკით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნატურ გადასახადი.

მოსკოვი. 22 აგვისტო (რადიო). სტავროპოლის გუბერნიაში ნატურ გადასახადის კამპანია ბრწყინვალედ ჩატარდა. 18 აგვისტომდე შემოვიდა 850,000 ფუთი, 12 პროც. დასახულისა 4 დღის განმავლობაში.

— უკანასკნელ დღეებში ნატურ გადასახადის შემოსვლა კურსკში ყოველ დღიურად აღის 200.000 ფუთს.

წინასწარი მუშაობა სარატოვის გუბერნიაში ნატურ გადასახადის ასაკრეფად დაიწყო 20 აგვისტოს.

— გომელის გუბერნიის გლეხები შეუდგნენ ნატურ-გადასახადის ჩაბარებას 20 აგვისტოს. აკრეფილია უკვე 730.000 ფუთი მარცვალი.

მთიელთა რესპუბლიკაში.

კავკავი. 20 აგვისტო. საგარეო ვაჭრობის მთიელთა რესპუბლიკის განყოფილებაში შემოვიდა მანუფაქ-

საქართველო

ხუთშაბათს, 24 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება

საქ. კომპარტიის თფილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) ტფილისის კომიტეტის ბიუროს მოხსენება.
2) მოხსენება საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის შესახებ.
3) მოხსენება საბჭოთა მუშაობის შესახებ.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—2) ტფილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

პარასკევს, 25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე გაიმართება

სრულიად საქართველოს ფეიქართა კავშირის

მე-2 ყრილობის

საზეიმო გახსნა

პროფ-კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე)

დასასრულ

საკონცერტო განყოფილება

სახელმწიფო თეატრის მსახიობის ბ. ამირეჯანის და მისი სტუდიის მონაწილეობით.

ყრილობის გახსნაზე მოწვეულნი არიან საქართველოს ფეიქართა კავშირის საფაბრიკო კომიტეტების ყველა წევრები.

საორგანიზაციო ბიურო.

3—1

თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული

შრომისა და ტვირთზიდვის ხარჯის გამტარებელი კომისია

თბილისში

ამით აცხადებს, რომ **ის პირები, ვინც ვალდებულნი არიან გადაიხადონ შრომისა და ტვირთზიდვის ხარჯი,** იხდიან, თანახმად № 6 სავალდებულო დადგენილებისა, **5 მანეთის** (ოქროთი) **მაგივრად 475,000 მანეთს,** 10 მანეთის მაგივრად **950.000 მანეთს** და 12 მანეთის მაგივრად **1.140.000 მანეთს.**

ხსენებული განაწევრი დადგენილია ამა წლის 21 აგვისტოდან 26 აგვისტომდე. (კრ. 187—4—3)

ქალაქ თბილისის საბჭოს ყველა წევრებს

თბ. საბჭოს პლენუმის

ა. წ. 14 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თბილისის საბჭოს ყველა წევრები ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ სექციაში, რომელსაც თვითონ საბჭოს წევრი ამოირჩევს, და ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტის სამდივნომ შეუდგა ჩაწერას და სთხოვს საბჭოს ყველა წევრებს ჩაეწერონ სამდივნოში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა.

ჩაწერა სწარმოებს 10 სექტემბრამდე.

საბჭოს მდივანი **გ. ხუნდაძე.**

№ 196. 4—1

ტურის შაქრის, ლურსმნის, რკინის, შინის და საპნის დიდი პარტიები ნედლ მასალაზე გადასაცვლელად.

— გროზნოში ხელახლა გაიხსნა სახელმწიფო მეორე ნავთის ქარხანა. ქარხნის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. დღე-ღამეში ხდიან 54.000 ფ. ნავთს.

— ინგუშეთის საოლქო რევკომის სახალხო განათლების განყოფილებამ გახსნა ინგუშური ენის შესასწავლი კურსები.

— კავკავში არსებულ პროფესიონალურ განათლების კომიტეტთან გაიხსნა გზის და ხუროთმოძღვრების პირველი კურსები.

— ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტმა უმაღლეს ტრიბუნალის განყოფილებასთან მოაწყო იურისტების კლუბი ახალი კოდექსის უკანასკნელ დეკრეტების პროპაგანდის მიზნით.

— სასურსათო გადასახადის აკრეფა კავკავში გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. გადასახადი აკრეფილი იქნება 100 პროც., პირველი ოქტომბრისათვის.

— კავკავის რკინის გზის რკინისგზელთა ყრილობამ დაადგინა დამშეულთა პროლეტარულ დახმარების გასაძლიერებლად აღდგენილ იქნეს 20 პროცენტიანი გადარიცხვა ჯამაგირიდან აგვისტოს თვიდან შიმშილობის სრული ლიკვიდაციის მოხდენამდე.

— გროზნოში ოქტომბრიდან მაისამდე ამოღებულია 55 ნახ. მილ. ფ. ნავთი. ივლისიდან სექტემბრამდე განზრახულია 35 მილ. ფ. ამოღება, შესრულებული იქნება მთელი ამოტანის 100 პროც. 6 თვის განმავლობაში გროზნოს ნავთის სამრეწველოებში და ქარხნებში მიღებულია 29 ნახ. მილ. ფ. საშუალოთ ნავარაუდევის 88 პროც., ნავთის ტრანსპორტმა შეასრულა ცენტრის შეკვეთის 82 პროც..

— თერგის ადიდების გამო არდენის მთელი სამხრეთი ნაწილი (ოსეთი) დაიფარა წყალით. სასაფლაოები ნახევრად წალეკილია სახლები, ბაღები და ბოსტნები. მცხოვრებლები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებიათ მინდვრის სამუშაო თავიანთი ქონების გადასარჩენად.

— შიმშილობის გამო მთიულებმა ამ წელიწადში პირველად მორწყეს ბაღები, ცდა წარმატებით დამთავრდა.

— 10 აგვისტოს კავკავში გაიმართა ქალაქის საბჭოს 2 წლის თავის დღესასწაული.

— მიიღო რა მხედველობაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა დაჟინებით მოითხოვს მთიელთა რესპუბლიკაში მტკიცე უფლებრივ გარანტიების და სასამართლოს ერთგვარ ფორმების შემოღებას და რომ მუსლიმან მცხოვრებთათვის შემოღებული შარიათის სასამართლოები არ შეეფერება მთიელთა მასების შეგნებას და იურიდიულ ურთიერთობას, რომელიც გამომდინარეობს მთიელთა სოფლის თანამედროვე სამეურნეო პირობებისაგან, მთიელთა რესპუბლიკის ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დაევალოს იუსტიციის სახ. კომისარს, გააფართოვოს სახალხო სასამართლოების ქსელი და შარიათის სასამართლოები გააუქმოს.

— სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დეპეშა საგარეო ვაჭრობის კომისარიატისაგან იმ საქონლის უბაჟოდ გატანის ნებადართვის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ამერიკიდან დაბრუნებულ ოსეთის ემიგრანტებს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

მოლაპარაკება ბავარიასთან

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). მოლაპარაკება ბავარიის მინისტრებთან დამთავრდა და ისინი სრული დაკმაყოფილებულნი გაემგზავრენ მიუხენში, დღეს ისინი გააკეთებენ მოხსენებას ბავარიის კაბინეტში, ბერლინის მოლაპარაკების შესახებ.

შავრაზმელთა ძალების მობილიზაცია.

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). გინდენბურგმა მიუხენში მიიღო რეიხსვერისა და ნაციონალური ხასიათის სამხედრო ორგანიზაციების პარადი გენერალი ზემმი მიესალმა გინდენბურგს ძველი არმიის სახელით. გინდენბურგმა ინახულა ლიუდენდორფი, ხოლო საღამოს დაესწრო ქალაქის გაჩირაღდნებას. მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო ყოფილ იმპერიისა და ბავარიის დროშებით.

კრაუდენი 22 აგვისტო (რადიო). გინდენბურგის მიერ რეიხსვერის პარადის მიღებას დაესწრო კრონ პრინცი რუპრეხტი.

რასაცა დასთეს იმასვე მომკი.

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). გინდენბურგის საზეიმო შეხვედრის გამო, გაზ. „ფორვერტსი“ ამბობს, რომ ეს მოასწავებს ნაციონალისტური ძალების მობილიზაციას.

ესენიც ინტერნაციონალისტებია

ჰანნოვერი. 22 აგვისტო (რადიო) საამშენებლო დარგის მუშათა საერთაშორისო მე-10 ყრილობაზე, რომელიც გაიმართება ბრიუსელში სექტემბერში, გერმანია არ არის მიწვეული.

ტელეგრაფისტების ყრილობა.

ჰანნოვერი. 22 აგვისტო (რადიო). ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთაშორისო ყრილობამ ბერლინში დაადგინა პროტესტი განუცხადოს საფრანგეთის მთავრობას იმის გამო რომ მან არ მისცა ფრანგ დელეგატებს პასპორტები ამ ყრილობაზე დასასწრებლად.

მარკის კურსის დაცემის გამო.

ჰანნოვერი. 22 აგვისტო (რადიო). გაზ. „სვენსკა და გებლადეტის ცნობით, მარკის კურსის კატასტროფიულად დაცემის გამო, გერმანია იძულებული იქნება გააუქმოს წინად დადებული ხელშეკრულებანი სამხრეთ ამერიკაში პურის შესყიდვის შესახებ.

ინგლისი

ნორდკლიფის დაკრძალვა

რომი. 22 აგვისტო (რადიო). მოხდა ინგლისის გაზეთების უმრავლესობის მეპატრონის ლორდ ნორდკლიფის დაკრძალვა. დაკრძალვაზე მონაწილეთა შორის იყო აგრეთვე ლოიდ ჯორჯი.

პოლონეთი

სეიმის არჩევნები

ჰანოვერი. 22 აგვისტო (რადიო) პოლონეთის პრესის ცნობით პოლონეთის სეიმის არჩევნები დანიშნულია 5 ნოემბრისთვის და სენატის—12 ში.

საფრანგეთი

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.

ჰანოვერი. 22 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წარმოადგინა კომინტერნმა.

ამერიკა

შტრეიკბრეხერების დაცვა.

რომი. 22 აგვისტო (რადიო). პრეზიდენტი გარდინგი ითხოვს ნახევარ მილიონ დოლარის გადადებას არმიის გასაძლიერებლად რკინის გზებზე და მაღაროებში შტრეიკბრეხერების დაცვის მიზნით.

ამერიკა და ინგლისი.

რომი. 22 აგვისტო (რადიო). ამერიკის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობასთან ისეთ შეთანხმების დასადებათ რომლის თანახმად ამერიკის ხელისუფლების ორგანოებს ექნებათ უფლება ინგლისის გემების დათვალიერებისა ამერიკის საზღვაო ტერიტორიის გარედ, ალკოგოლის კონტრაბანდით გატანის აღკვეთის მიზნით.

ამერიკის რკინის გზელთა შორის.

მოსკოვი. 22 აგვისტო (რადიო). ამერიკის ზოგიერთ რკინის გზებზე გაფიცულ რკინის გზელებმა მოაწყვეს მთელი რიგი ტერორისტულ გამოსვლებისა. ამერიკის მთავრობა უძლურია ამ გამოსვლებთან ბრძოლაში.

პრეზიდენტ გარდინგმა კონგრესის სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოითხოვს მიეცეს მას განსაკუთრებული უფლება გაფიცულ რკინის გზელებთან საბრძოლველად შტრეიკბეხრების დახმარებით.

ამერიკის მემაღაროები.

მოსკოვი. 22 აგვისტო (რადიო). მაღაროს მეპატრონეთა და მუშების გაერთიანებულმა კონფერენციამ ფილადელფიაში არავითარი შედეგი არ მოიტანა.

ავსტრია

მოწყალებისათვის.

ნაუენი. 22 აგვისტო (რადიო). ბერლინში ჩავიდა ავსტრიის კანცლერი სეიპოლი, რომელიც მოგზაურობს ჩეხო-სლოვაკიასა, გერმანიასა და იტალიაში. ეს მოგზაურობა გამოწვეულია ლონდონის თათბირის იმ დადგენილების გამო, რომლითაც ავსტრიის დახმარების საკითხი გადაეცა ერთა ლიგას. ავსტრიის კრიტიკული მდგომარეობის გამო სეიპოლს განზრახვა აქვს უშუალოდ მოელაპარაკოს ხსენებულ სახელმწიფოებს დახმარების აღმოჩენის საკითხის შესახებ.

ისპანია

ხიშტების დახმარებით.

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). მიუხედავად ფოსტის მოხელეთა გაფიცვების განგრძობისა კორესპონდენციების ნორმალური გაცვლა-გამოცვლა უზრუნველყოფილია სამხედრო ძალების დახმარების გამო.

გაფიცვები გრძელდება.

ბერლ. 22 აგვისტო. მადრიდში ფოსტის მოხელეთა გაფიცვები გრძელდება. საფოსტო უწყება შეუდგა ახალ მოხელეთა მიღებას, 300 ქალი დანიშნულია ფოსტის დამტარებელთა თანაშემწეთ. მადრიდში კორესპონდენცია პოლიციას დააქვს.

გაფიცულების დაპატიმრება

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). გალისია და ასტურიაში დააპატიმრეს ის ფოსტის დამტარებელნი, რომელთაც უარი განაცხადეს წერილების ტარებაზე.

გაფიცულთა დათხოვნა.

ბერლ. 22 აგვისტო (რადიო). გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომელიც ფოსტის მთავარ დირექტორს ანიჭებს უფლებას, ყოველგვარ ფორმალობის გარეშე დაითხოვოს ფოსტის მოხელეები, რომელნიც დამნაშავენი არიან გაფიცულებისათვის მხარის დაჭერაში.

მონგოლიაში.

მონგოლიის სახალხო პარტიის ცეკამ გაგზავნა მოსკოვში 15 ახალგაზრდა მონგოლი აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში სწავლის დასამთავრებლად.

ეროვნული უმცირესობანი პოლონეთში

მოსკოვი, 22 აგვისტო (რადიო) „ნაშ კურიერი“ იტყობინება ახლად შექმნილ ეროვნულ უმცირესობათა ბლოკის აღმასკომის არჩევის შესახებ. ბლოკის შექმნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა პოლიტიკურ წრეებზე.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია და რუსეთი

მოსკოვი 22 აგვისტო (რადიო). **იაპონიის ჯარების შტაბმა ვლადივასტოკში გამოაქვეყნა ევაკუაციის ცხრილი, რომელიც (ევაკუაცია) იწყება 26 აგვისტოს. იაპონიის არმია ხელს არ შეუშლის რუსეთის ნაწილებს განთავისუფლებულ ტერიტორიის დაჭერაში. ევაკუაციის ცხრილის გამოქვეყნებამ ვლადივასტოკში არევ დარევა გამოიწვია.**

თეთრგვარდიელების ოინები

სემიონოვის ოფიცერის გურკოვის ბინაზე სად. „მანჯურიაში“ ჩინეთის ძალა-უფლებამ აღმოაჩინა საიდუმლო კანცელარია თეთრგვარდიელთა ორგანიზაციისა, რომლის სათავეში გენერალი შილნიკოვი სდგას. აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება შილნიკოვის მონაწილეობა ჩინეთის ტერიტორიაზე ბანდების მოწყობაში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მასები და ხელმძღვანელები.

როგორც ვიცით, რევოლიუცია, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის ცნობას და რომელიც წარმოადგინა ოპოზიციამ ცინცინატში ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე, უარყოფილ იქნა უმთავრესად ქალთა სამკერვალოს კავშირის თავმჯდომარის ბენჯამენ შლეზინგერის გამოსვლის გამო. ეს ოფიციალური „სოციალისტი“ გამოვიდა, მწვავე წუთებში, ამერიკის შრომის ფედერაციის იმ ძველი რეაქციონერი სამუელ გომპერსის დასაცავად, რომელიც ყოველივე რევოლიუციონერის დაუძინებელი მტერია და კერძოთ შხამიანი ცილის მწამებელი და მაგინებელია საბჭოთა რუსეთისა. ამ დახმარებისათვის დასაჯილდოებლად გომპერსმა გაიყვანა შლეზინგერი დელეგატათ ინგლისის ტრედ-უნიონების მომავალ სექტემბრის კონგრესზე, რაც საპატიო მოვალეობათ ითვლება.

ამავე დროს, ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესამდე გამართულ ქალთა სამკერვალოს კავშირის კონფერენციამ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთის ცნობის მოთხოვნილებისა და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ამის გამო ამერიკის მუშათა გაზეთების ფურცლები სავსეა დისკუსიით იმ პოზიციის შესახებ, რომელიც დაიჭირა შლეზინგერმა ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე. უმრავლესობა იმ დასკვნამდის მიდის, რომ შლეზინგერმა უღალატა თავის ორგანიზაციას.

ამის შესახებ შეკითხვით მიმართეს ქალთა სამკერვალოს კავშირის მდივანს ანტონინის, რომელმაც გაზ. „დივორკერში“ („მუშა“) წერილობით გასცა პასუხი; იგი ამბობს, რომ შლეზინგერის საქციელის გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ქალთა სამკერვალოს კავშირის კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია პირდაპირ მოითხოვდა ამერიკის მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ ცნობას და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. ეს რეზოლიუცია, ეჭვს გარეშეა, უნდა დაეცვა კავშირის დელეგატს ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

ამ რიგათ „სოციალისტ“ შლეზინგერმა გომპერსის უფროსობითი ლოცვა-კურთხევა უფრო მაღლა დააყენა თავისი კავშირის წევრების ნებისყოფაზე.

ბრიტანეთის სამთო მუშათა ფედერაციის კონფერენცია.

ივლისის თვის მეორე ნახევარში ბლეკპულში გაიმართა ბრიტანეთის სამთო მუშათა ფედერაციის წლიური კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 162 დელეგატი, რომელნიც იყვნენ წარმომადგენელი 835.500 წევრისა.

კონფერენციაზე დიდი და ცხარე კამათი გაიმართა წითელ პროფინტერნთან შეერთების საკითხის შესახებ. ინგლისის სამთო მუშათა შორის ამ საკითხის შესახებ ორი მიმართულება არსებობს. სამხრეთ-უელსის დელეგატებმა გამოიტანეს დადგენილება, თანახმად წინად მომხდარი საოლქო კონფერენციის გადაწყვეტილებისა, რომელიც მოითხოვს წითელ პროფინტერთან შეერთებას. ამ წინადადების ავტორმა ეს მოსაზრება დაასაბუთა იმით, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს არ ასულდგმულებს ის განწყობილება, **რომელიც შეიძლებოდა შეთანაზრებოდა საერთაშორისო კაპიტალიზმის თანამედროვე ფაზას.** წითელ პროფინტერნთან შეერთების წინააღმდეგ გაილაშქრა, კავშირის გენერალურ მდივანმა ხოდჯსმა, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა, რომ ფედერაციის პროფინტერნთან შეერთება, დაშლიდა შეკავშირებულ მოძრაობას რამოდენიმე თაობით წინ.

სამხრეთ-უელსის დელეგატების წინადადება უარყოფილ იქნა.

სასურსათო გადასახადის აკრეფა

გორის მაზრა

მთელი წინასწარი საგადასახადო მუშაობა დასრულებულია. გადასახადის აკრეფა მთელს მაზრაში სწარმოებს. გარდა რამდენიმე ადგილისა, სადაც ყანები სეტყვამ გააფუჭა და სადაც გლეხებს მის ნაცვლად სიმინდის დათესვა მოუხდათ. საერთოდ მაზრაზე შეწერილია 100.000 ფუთი ხორბალი. ამ ჟამად უმთავრესად შემოდის ხორბალი. ხორბლის ნაცვლად მხოლოდ ზოგიერთებმა გადაიხადეს ქერი, ან ფული. წინასწარ ვარაუდით სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეკრებილი იქნება: ხორბალი—90 პროც. მთელის გადასახადისა, სიმინდი—5 პროც და ქერი, ფული და სხვა—5 პროც. სამაზრო სასურსათო სამეულს იმედი აქვს, რომ წრევანდელი სასურსათო გადასახადი, აგრეთვე შარშანდელ გადასახადის ნარჩენი—20,000 ფ, სრულად იქნება აკრეფილი. ამ ჟამად გროვდება როგორც წრევანდელი გადასახადი, ისე შარშანდელ გადასახადის ნარჩენი. ამ შემთხვევაში სამეული იმითი ხელმძღვანელობს, რომ საჭირო არ არის გლეხთან ორჯერ მისვლა და თავის მობეზრება. გადასახადისა და ნარჩენის შეგროვება სექტემბრის პირველ რიცხვებში დასრულდება მთელს მაზრაში, გარდა, რასაკვირველია, იმ ადგილებისა, სადაც სიმინდია დათესილი და ხორბალი სრულიად არ მოიპოვება.

აგვისტოს 20-სთვის ოფიციალურ ცნობებით უკვე მიტანილია მიმღებ-შემნახველ პუნქტებში მაზრაზე შეწერილ გადასახადის ნახევარი, ანუ 50.000 ფუთი ხორბალი. ბევრს მიმღებ პუნქტში იმდენი ხალხი მიაწყდა რომ მარცვლეული აღარ ეტევა, რის გამოც სამეულმა სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან სასწრაფოდ მოითხოვა ტომრები მიმღებ პუნქტების განსატვირთად და ტფილისში ხორბლის გასაგზავნად.

მთელს მაზრაში სამაზრო სასურსათო სამეულმა სრულიად გაანთავისუფლა გადასახადისაგან მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტი, თვითეულ გადამხდელზე შეწერილ გადასახადის მაქსიმალური ჯამი უდრის 150 ფუთს ხორბალს (ორი შემთხვევა), მინიმალური კი—20 გირვანქას. საშუალოდ რომ ავიღოთ, თვითეულ გადამხდელს 5 ფუთი ხორბალი უწევს.

წელს ნათესების სივრცე გაცილებით მეტია, ვიდრე შარშან. ამას გარდა მოსავალი კარგი იყო. ამიტომ წრევანდელი სასურსათო გადასახადი მძიმე ტვირთად არ აწვება ხალხს.

თბილისის ქალაქის საბჭოს პლენუმი

(იხ. გაგრძელება გაზ. „კომუნისტი-ს“ № 192)

ტრამვაი გაკეთებულია 1904 წელს ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ, რომელმაც ტრამვაის გამოსწოვა ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო. ტრამვაის ვაგონების დაზიანება დაიწყო ჯერ საბჭოთა ხელისუფლებამდე. ჩვეულებრივ დროს მუშაობდა 120 მდე მოტორიანი ვაგონი. მენშევიკებიდან მივიღეთ მხოლოდ 18 და ამ ჟამად კი მუშაობს 30 ვაგონი. ტრამვაის მდგომარეობა საერთოდ უვარგისოა რელსები გაცვდა, გაცვდა აგრეთვე საჰაერო ხაზი. არ არის ნაწილების მარაგი. ტრამვაის მუშაობა სჩანს ვაგონის მიმოსვლის დღეების შემდეგი ცხრილიდან:

იანვარი	836	ვაგ. დღე
თებერვალი	772	„ „
მარტი	754	„ „
აპრილი	914	,, ,,
მაისი	978	„ „
ივნისი	1012	,, ,,

მუშაობაში მყოფ ვაგონების რაოდენობა ერთ და იმავე ხარჯის დროს შეიძლება ავიყვანოთ 45-მდე, საითკენაც მიისწრაფვის კომუნალური განყოფილება. განსხვავება ტრამვაის შემოსავალსა და გასავალს შორის რამოდენიმე მილიონი მანეთები გამოიხატება, და ესეც იმის გამო, რომ ნაწილი შემოსავლისა გადადებულია ამმორტიზაციისათვის. არის გეგმა ტრამვაის სავსებით აღდგენისა, რასაც მოუნდება 2.000.000 მან. ოქროთი.

ელექტრონის ძალის სამმართველო.

16 სადგურიდან მუშაობს 13 შემუშავებულ ენერგიით 120 ათას კილ. საათ. რაოდენობისა თვეში. მიუხედავად იმისა, რომ მოსამსახურეები ყოველივე ზომებს იღებენ სადგურის წესიერად მუშაობისათვის, უკანასკნელს მაინც ხშირათ უნდა შეკეთება, და 1 იანვრიდან შეკეთებულ იქნა 7 სადგურზე 500 ცხ. ძალ., და თუ მზად იქნება ნაწილების მარაგი, რომელიც შეკვეთილი ჰქონდა არსენალსა და ვაგონების მთავარ სახელოსნოს, შესაძლებელი გახდება კიდევ 800 ცხ. ძალის მომატება. ამ ხნის განმავლობაში ელექტრო-ძალის სამმართველომ თავის დეფიციტი შეამცირა 7 მილლიარდ მანეთამდე.

სასაკლაო.

სასაკლაოს მდგომარეობა ქალაქიდან სიშორისა და სათანადოთ მოწყობილი ტრამვაის გზის უქონლობა ჰქმნის მეტად მძიმე მდგომარეობას. ამას გარდა დიდ დეფიციტად უნდა ჩაითვალოს წყლის სიმცირე. 30—40 ათას ვედრო წყლის მაგიერ დღეში სასაკლაო ღებულობს 10 ათას ვედროს, ამ ჟამად გადაწყვეტილია დიდი აუზის მოწყობა, რომელიც გაივსება წყლით ღამის განმავლობაში. საერთოდ კი სასაკლაო მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით და სხვათა შორის იქვე არის საპონის, ყეწულის და საუტილიზაციო ქარხნები. სასაკლაოზე საჭირო შეიქმნა სახურავის კაპიტალური შეკეთება. თუ არ ჩავთლით შეკეთებისათვის გაწეულ ხარჯს, სასაკლაო შემოსავალს გვაძლევს.

აბანოები.

აბანოებით სარგებლობს მცხოვრებთა 12-15 პროც., ეს პროცენტი უნდა გავადიდოთ. სულ ქალაქში 19 აბანოა. მუშაობს ამ ჟამად 7 გოგირდის და 3 ორთქლის. სწარმოებს 3 აბანოს შეკეთება. ზოგიერთი აბანოები, რომელთა წყაროები განცალკევებულია, სათანადო თვალყურის დევნების უქონლობის გამო გატალახიანებულია და უსუფთაო მდგომარეობაში იმყოფება, არის გადაწყვეტილება ერთ ერთ აბანოსთან ტალახის ვანების მოწყობის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ აბანოები შემოსავალს იძლევიან.

არა ერთხელ გვირჩევდენ აბანოების საარენდოთ გაცემას, მაგრამ აღმასკომმა გადასწყვიტა ის თავის ხელში დაიტოვოს, ვინაიდან აბანოებს დიდი სანიტარული მნიშვნელობა აქვს და მათი კერძო პირისათვის გადაცემა მიზანშეწონილი არ იქნება.

ამხ. წივწივაძის მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კამათის დამთავრების შემდეგ თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა უპასუხა ყველა ორატორებს. მოხსენების გამო მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია.

„მოისმინა რა კომუნალური მეურნეობის გამგეობის მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის შესახებ თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს პლენუმი სთვლის კომუნალური მეურნეობის სექციას შეიმუშაოს ახლო მომავლისათვის გეგმა ქალაქის წარმოებათა გასაუმჯობესებელ კონკრეტიულ ღონისძიებათა და აგრეთვე მოაწესრიგოს საკითხი სამხედრო უწყების მოსამსახურეთა მიერ კომუნალურ დახმარების ანაზღაურების შესახებ და მოახსენოს პლენუმს.

ამ რეზოლიუციასთან მიღებულია დამატება, რომლითაც წინადადება ეძლევა აღმასკომს შინაგანი განწესრიგების სახით არ მოახდინოს დროებით სამხედრო უწყების მოსამსახურეთაგან კომუნალურ დახმარების ანაზღაურება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისი.

დასასვენებელი სახლი. შრომის განყოფილებამ გახსნა ხრეილში დასასვენებელი სახლი. ჯერჯერობით ამ სახლით ისარგებლა 25 მუშამ; 54 ბავშმა და 11 მასწავლებელმა.

შრომის ბაზარი. ივლისში ითვლებოდა 261 კ. უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 65 კ. უმუშევართა სასარგებლოთ გაიმართა საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი იყო 25.790 ათასი მან., უმუშევართ ეძლევათ დახმარება. მუშისა და მოსამსახურის მიღების დროს კანონის დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა რამოდენიმე დაწესებულება, ჯარიმა უდრის დაახლოებით 16 მილიონ მანეთს.

დამზღვევი კასა. შრომის განყოფილებასთან კასის არსებობის დღიდან მიღებულია დასაზღვევ ფონდში გადაცემის პროცენტი 341.859 ათასი მან. დახმარება მიეცათ დაზღვეულთ 155 კ. ავათმყოფობის გამო— 93.968 მანეთი. მშობიარობის გამო 45.700 ათასი მანეთი. ამას გარდა კურორტებზე გაიგზავნა 20 კ. წყალტუბოში 30 კ. დამზღვევი კასის ხარჯზე.

სომხეთი

იჯევანის მაზრა.

მოსავალი. პურის გალეწვა გაცხოველებულია. სიმინდს ყველა რაიონებში კარგი პირი უჩანს. ქართოფილი სულ დაილპა, ეგრედ წოდებულ ქართოფილის ჭირისაგან. ფოთლები სულ გაშავდა და დალპა. იწყებს ლპობას აგრეთვე ძირიც. ქართოფილის ეხლა აკრეფა შეუძლებელია ერთის მხრივ იმიტომ, რომ ამ ჟამად გლეხები გართული არიან პურის გალეწვაში, ხოლო მეორე მხრივ, მომწიფებულ ნაყოფის აკრეფა შეუძლებელს ხდის მათ შენახვას. ქართოფილის დიდი პარტიობით გაყიდვას ქალაქში არ აქვს ადგილი ვინაიდან არ მოიპოვება კოოპერატივი.

თუ სახელმწიფომ დახმარება არ აღმოუჩინა ქართოფილის გაზიდვას, შესაძლებელია დალპოს რამოდენიმე ათეული ათასი ფუთი.

ქრონიკა

◆ **საქ. პრ. კავ. საბჭოს პლენუმი,** რომელიც დანიშნული იყო 22 აგვისტოსათვის არ შედგა ქვორუმის შეუვსებლობის გამო. სხდომაზე გამოცხადებულ პლენუმის წევრებმა გადასწყვიტეს შემდეგი სხდომა მოიწვიონ 24 აგვის. პლენუმის წევრთა ხრონიკულ გამოუცხადებლობასთან საბრძოლველად იმავე კერძო თათბირზე დადგენილ იქნა—წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს მიიღოს შემდეგი ღონისძიება: დაწესდეს ვადა დასასწრებისა ნახევარი საათი და ვინც ამ ხნის განმავლობაში არ აღირიცხება ჩაითვალოს გამოუცხადებლად, დაჯარიმებულ იქნეს გაზ. „რაბოჩის“ სასარგებლოდ პირველად 100 ათასი მანეთი., მეორედ 200 ათ., მესამედ 300 ათ. მანეთით და მეოთხედ ეცნობოს პლენუმს სპეციალურ განხი-

ბრძოლა სიმშილობასთან

ოზურგეთი

(დეპეშა)

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს.

გურიაში მდგომარეობა კრიტიკულია. სულზედ ოცი გირვანქა დანაწილდა, საჭიროა კიდევ სასწრაფოთ დახმარება სურსათით, შემთხვევებია სიმშილით სიკვდილისა, მიუხედავათ თქვენი უხვი დახმარებისა. გთხოვთ მოგვაშველოთ რამოდენიმე ვაგონი, რომლითაც შევუნარჩუნებთ დამშეულებს სიცოცხლეს ახალ მოსავლამდე.

დამშეულთა კომიტეტის თავმჯდომარე **მგალობლიშვილი.**

სათვის. ამას გარდა არ გამოცხადებულთა გვარები გამოქვეყნდეს პრესაში.

◆ **მუსლიმანური გაზეთი:** გამოვიდა მორიგი № 29 მუსლიმანური გაზეთი „ახალი ფიქრი“, რომელიც შეჩერებული იყო სხვა და სხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო. გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ უფრო დიდი ფორმატით ვიდრე წინად იყო და აშუქებს საკითხებს, რომელიც ეხება საქართველოში მყოფ მუსლიმან გლეხებს და აგრეთვე ტფილისში მყოფ მუშებს, რომელთა რიცხვი უდრის 300 კაცს. გაზეთი გლეხურ მუშურია, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს გლეხობას. რედაქციის თხოვნით გაზეთში მონაწილეობას იღებენ შემდეგი პარტიული ამხანაგები: საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნარიმან ნარიმანოვი, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი ტალიბლი, ამიერ-კავკასიის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი რიზა-კული—ნაქახოვი და სხვა ადგილობრივი ამხანაგები.

სახალხო კომისართა საბჭოში.

საქართველოს სტიპენდიანტები საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს სტიპენდიატების საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში უზრუნველსაყოფად, საქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაიღოს ყოველთვიურად 2 მილიონი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით. სახალხო კომისარიატებში მოსამსახურე სტიპენდიანტებს მიეცემათ სექტემბრის ჯამაგირი სრულად, ხოლო ვინც სამსახურში არ ითვლება—მიეცემათ ორ-ორი მილიონი მანეთი სახალხო განათლების კომისარიატის სიის მიხედვით. გარდა ამისა სახალხო განათლების კომისარიატს დაევალა გამონახოს საშუალება სტიპენდიანტების ტანთსაცმელ-ფეხსაცმელებით და საცვლებით უზრუნველსაყოფად და აგრეთვე დაადასტუროს სასურსათო სახ. კომისარიატის მიერ სტიპენდიანტებისათვის მიცემული პროდუქტება და საგნები.

◆ **პენსიების გადიდება.** განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, დადგენილია ამა წლის 1 აგვისტოდან გაადიდონ 100 პროც. ის თანხა, რომელიც ყოველთვიურად გადის სახელმწიფო ხაზინიდან ხელოვნების და მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეთათვის პენსიების მისაცემად და მოაწყონ განსაკუთრებული კომისია, ამხ. საყვარელიძის, თოდრიას და მიქელაძის შემადგენლობით, რომელსაც ევალება გადაათვალიეროს აღნიშნული პენსიონერების სია და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნა.

◆ **ბაქოს ბაზრობა.** სახალხო კომისარიატთა საბჭოს დადგენილებით საკავშირო საბჭოს ეცნობა, რომ ის ტვირთები, რომელიც იგზავნება ბაქოს ბაზარზე სრულიად განთავისუფლებული არის პროცენტულ გადასახადისაგან, რომელიც დაწესებულია სასურსათო სახ. კომისარიატის მიერ.

◆ **სასინჯი პალატა.** ფინანსთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობის გამო, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ნება დართოს უკანასკნელს გადარიცხოს პალატის თანამშრომელთა სასარგებლოდ 15 პროც. იმ ჯარიმების შემოსავლიდან, რომელსაც აწესებს სასინჯი პალატა. ამასთანავე დამტკიცებულია ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პალატის შტატი: პალატის გამგე 1, უფროსი შემმოწმებელი (იგივე გამგის თანაშემწე) 1, შემმოწმებელი—1, მანქანაზე გადამწერი—1 და დარაჯი—ორი.

საკავშირო საბჭოში.

◆ **ამხ. ნარიმანოვის ჩამოსვლა.** ამ დღეებში დაბრუნდა ამხ. ნარიმანოვი, რომელმაც ინახულა ცხენოსანი ბრიგადა, რომლის შეფოდ ითვლება საკავშირო საბჭო ამხ. ნარიმანოვმა პირადად დაათვალიერა ბრიგადის ნაწილები და შკოლები ამასთანავე მისივე თანდასწრებით გაიმართა პოლკის საესკადრონო სწავლება. თავის დაბრუნების შემდეგ ამხ. ნარიმანოვმა საკავშირო საბჭოში გააკეთა მოხსენება, ბრიგადის მდგომარეობის შესახებ. საკავშირო საბჭომ გადასდო ბრიგადის მიმდინარე საჭიროებისათვის 100 მილიონი მანეთი.

◆ **კონცესიები.** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საკონცესიო კომისიაში ამ დღეებში განხილული იქნება ორი განცხადება კონცესიის ასაღებად.

პირველი კავკავ—ტფილისს შორის საულელტეხილო ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ, მეორე ზანგეზურში სპილენძის მადნის ექსპლოატაციის შესახებ. უკანასკნელი კონცესიით დაინტერესებულია იტალიის ბანკების ერთი ჯგუფი, რომელმაც თავის დროზე გამოგზავნა სპეციალური კომისია მადნეულობის მდგომარეობის გამოსარკვევად.

◆ **საბჭოთა რუსეთის გენერალური საელჩო.** ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან არსებულ საბჭოთა რუსეთის საელჩოს ნაცვლად ახლო მომავალში მოწყობილი იქნება გენერალური საელჩო, საბჭოთა რუსეთის გენერალურ ელჩად ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში დანიშნულია საბჭოთა რუსეთის ელჩი ბათუმში ამხ. ბლიატტი.

უკანასკნელ ელჩის ნაცვლად ბათუმში დანიშნულია ამხ. იუსტი, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების საინფორმაციო განყოფილების ყოფილი გამგე.

◆ **დანიშვნა.** გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულად და საგარეო ურთიერთობის სამდივნოს გამგედ აზერბეიჯანში დაინიშნა ამხ. შირვანი.

დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერის თეატრი—მოსკოვის სამხატვრო თეატრის მე 2 სტუდიის საგასტროლო სპექტაკლი „პოტოპ“ი. რუსთაველის თეატრი—გრანდიოზული სურათი ჯუნგლის საიდუმლოება მე 5 სერია. ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—საღამო კონცერტი. საზაფხულო თეატრი არტო—კონცერტი კაბარე. საზაფხულო წრე—კონცერტი. მუშათა ცენტ. კლუბი—კონცერტი. ცენ. მუშ. კლ. ახალი თეატრი—კინო. თავისუფალი თეატრი—თეატრ ნილაბის პროგრამის მე5 ციკლი. თეატრი ამირანი—კონცერტ-კაბარე. ვერის პარკი—კონცერტი კაბარე. ბავშვთა ახალი კლუბი—(ყოფილი არლეკინი) საღამო სეირნობა ბავშვებისათვის. პროფ. კავშ. საბჭოს კლუბი—კონცერტი. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

ეკონომიური ცხოვრება

მერძეობა ბორჩალოს მაზრაში

მერძეობის საქმე საქართველოს ტერიტორიაზე ისე კარგად და შედარებით კულტურულად არსად არ არის დაყენებული, როგორც ბორჩალოს მაზრაში, სადაც მოსახლეობა მესაქონლეობას მისდევს და მერძეობას ფართო სამრეწველო ხასიათი აქვს. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე არც აქ არის დაყენებული სათანადოდ და ამის გამო ზარალობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე სახელმწიფო. საჭირო კი იყო, რომ მას განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა ვისგანაც ჯერ არს და ძვირფასი სავალიუტო საქონელი—მერძეობის პროდუქტები—ქვეყნის კეთილდღეობის ერთ ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გადაქცეულიყო.

მერძეობის საქმეს ბორჩალოს მაზრაში საძირკველი ჩაუყარეს კუჩენბახებმა, რომლებმაც ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანეს მეურნეობის ეს დარგი და მრავალ წლის განმავლობაში ფხიზელ დარაჯებად უდგნენ მას. დღეს კი მათაც ვეღარ გაუძლეს გართულებულ ეკონომიურ მდგომარეობის სიმძიმეს და თავიანთი ქარხნები იჯარით გადასცეს კოოპერატივებს. კურტ კუჩენბახის ქარხანა მაშუტლოში იჯარით აიღო მთლიანმა მუშათა კოოპერატივმა, ხოლო ალექსანდრე კუჩენბახისა ბოგაზ-კიასანეში—მთლიანმა სამხედრო კოოპერატივმა. კურტ კუჩენბახის ქარხანაში შარშან ერთ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ადგილი: შავი ჭირი დაერია საქონელს და მთლად ამოსწყვიტა 93 სული საუკეთესო ჯიშის მეწველი ძროხა. მიზეზი ის იყო, რომ არ იშოვებოდა საქონლის ასაცრელი შრატი. თუ ეს ქარხანა კვლავ განაგრძნობს არსებობას და მუშაობს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მახლობელ სოფლებიდან იჯარით ჰყავს აყვანილი მეწველი ძროხები. რაც შეეხება ალექსანდრე კუჩენბახის ქარხანას, მას ჰყავს 40 მდე სული საკუთარი მეწველი ძროხა და ცოტაოდენი ახალგაზრდა საქონელი, რომელიც ჭირს გადურჩა დროზე მიღებულ სასტიკ საკარანტინო ზომების წყალობით. თავის თავად ცხადია, რომ ეს 40 ძროხა საკმარისი არ არის მთლიან სამხედრო კოოპერატივისთვის, რომელსაც ეს ქარხანა აქვს იჯარით აღებული და მასაც სხვის საქონლის დაქირავება უხდება. წელს მას დაქირავებული ჰყავს 200-მდე მეწველი ძროხა სოფელ ირგანჩაიში. მესამე დიდი ქარხანა ბორჩალოში იჯარით აქვს აღებული ამიერ კავკასიის ცენტრალურ სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას და ამ ქარხანაში დამზადებულ ყველის რაოდენობა და ღირსება სავსებით ამართლებს იმ დიდ ხარჯებს, რომელიც ქარხანაზე გასწია ხსენებულმა საზოგადოებამ. ამ ქარხნებს გარდა, აგრეთვე კარგად მუშაობს სამი დიდი ხარხანა: პეტრე ამეტერისა ბუსუკალაში, ქრისტიანე ამეტერისა ძმებით—ყარა-ბულახში და ჰაჯი-ვიალი ოღლისა—არმუტლოში.

კუჩენბახების მიერ დაწყებულ საქმეს ერთი დიდი და კარგი შედეგი მოჰყვა: ათეულ წლების განმავლობაში ხალხში შეიპარა იმის შეგნება, რომ საჭიროა მოშენება კარგი ჯიშის საქონლისა. ახლა შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე სოფელი და ცალკე მეურნეობა, სადაც შეხვდებით საუკეთესო მეწველ და მუშა საქონელს. ამ მხრით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიდი სოფელი ირგანჩაი, სადაც მხოლოდ მეწველ ძროხების რიცხვი 700 სულს უდრის. ამ სოფლის მოსახლეობამ საარტელო საფუძველზე ყველის ქარხანა მოაწყვეს, რომლის სათავეშიც სდგას კერძო მწარმოებელი და რომელსაც თითქმის უკანტროლო მოქმედების უფლება აქვს მინიჭებული მერძეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში. ქარხანა მოწყობილია პრიმიტიულად და ამ საქმის ინტერესი და ქვეყნის კეთილდღეობა სასტიკად მოითხოვს, რომ ამ ქარხანას ძლიერი და სამართლიანი მესვეური გამოუჩნდეს, მით უფრო, რომ საქმე შეიძლება სულ მოკლე ხანში იქნეს დაყენებული საუცხოვოდ ისე, რომ საჭირო არ გახდეს დიდი ფულის დახარჯვა. რამდენადაც ვიცით, თვით სოფლელნი დიდის სიამოვნებით შეეგებებიან ასეთ ნაბიჯს, თუ კი იქნება იგი გადადგმული რომელიმე საკოოპერაციო ორგანიზაციისა, ან რომელიმე ეკონომიურ სახალხო კომისარიატის მიერ. ვიმეორებთ, რომ სოფელ ირგანჩაიში შეიძლება დაყენებულ იქნეს ფართო, სახელმწიფოებრივ მასშტაბით, რძის წარმოება ვინაიდან ფართო ოპერაციებისთვის საჭირო რძის შესყიდვა შეიძლება სომხეთის საზღვრებში მოქცეულ სოფელ სიუხ-ბულახში, სადაც მერძეობის ნაყოფიერება ბევრად აღემატება ირგანჩაისას.

აღსანიშნავია აგრეთვე სალამალეიქის მესაქონლეთა ამხანაგობის ქარხანა „რძე“, რომელსაც სახალხო სასურსათო კომისარიატმა დახმარება აღმოუჩინა ფულით და სურსათით და რომელმაც სამაგიეროთ ამ კომისარიატს უნდა ჩააბაროს ყველი. ამხანაგობა „რძეს“ ქარხანა მრავალ წლის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა და მხოლოდ ახლა იქნა ამუშავებული. ქარხნის ადმინისტრაციას დიდი დაბრკოლების დაძლევა დასჭირდა, რომ ქარხანაში საქმე წესიერად დაეყენებინა. საქმის ხელმძღვანელად მოწვეულია გამოცდილი სპეციალისტი შვეიცარიელი.

არიან მაზრაში აგრეთვე წვრილი მექარხნენი, რომელთაც ერთად თავის მოყრა და ხელმძღვანელობა ესაჭიროებათ. ყველა ამას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება და ჯეროვანი ნაბიჯი უნდა იქნეს გადადგმული, რათა მცხოვრებლებმა, აგრეთვე სახელმწიფომ მიიღოს მაქსიმალური სარგებლობა მეურნეობის ამ თვალსაჩინო დარგიდან.

პარტიული ცხოვრება

თბილისის სადგურზე.

ა. წ. 21 აგვისტოს თბილისის საქონლის და სახალხო სადგურების კომუჯრედის ხელმძღვანელობით შედგა 1-ლი კრება ამავე დარგის და მე-6 უბნის ლიანდაგის უპარტიოს და თანამგრძნობთა მუშების პოლიტიკური სამეცადინო წრისა. კრებას ხელმძღვანელობდა კომუჯრედის მდივანი. მომხსენებელმა ამხ. გეგეშიძემ აუხსნა და განუმარტა კრებას მომავალი სამუშაო გეგმა, რის შემდეგ არჩეული იქნა წრის ხელმძღვანელი ორგანიზატორები 3 ამხანაგისაგან. სამეცადინო დღეთ დანიშნული იქნა ორშაბათი, ნაშვადღევის ხუთ საათზედ. არჩევნების შემდეგ ლექტორმა ამხ. გეგეშიძემ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა და რვის ნახევარზე დაიშალა.

აბ. თოდრია.

დაიმსხვრა ჯაჭვები..

დაიმსხვრა ჯაჭვები
უკუნის—მონობის,
შენდება ქვეყანა
ახალი—სწორობის;

რჩენილი ნაშთები
ისპობა სწრაფადა
და ბრძოლის ტალღები
ქცეული ქაფადა
ალისფერ ვარდების
ზვირთებად ელვარებს,
რომ გაქრეს წარსული
ბობოქრობს—მღელვარებს..

და წარმტაც—შვების მგვრელ
ჰანგებით დაჰკივის
მსოფლიოს—საყვირი
წითელი არწივის..

არ შედრკეთ მებრძოლნო!
კრიალებს ებანი..
ბულბულმა-კი სჭექა
ქებათა ქებანი:
იხარეთ დაიმსხვრა
ქვეყანა მონობის,—
იხარეთ, შენდება—
ახალი—სწორობის!

ანაზარდი.

პროვინციაში

მანგლისი

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

კომუნალურ განყოფილების მუშაობა.

რევკომთან არსებული კომუნალური განყოფილება არ იყო ჯერ კიდევ სავსებით ჩამოყალიბებული. მაშინ მის მთავარ ამოცანას შეადგენდა მენშევიკების მიერ დატოვებულ უძრავ-მოძრავი ქონების დაცვა. ამ ქონებათა შორის ძვირფასი არაფერი ყოფილა, გარდა ბავშობის და დედობის დაცვის საზოგადოების ფერმისა, ყველა დანარჩენი ქონება იყო ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში, და მათ აღსადგენად საჭირო იყო ზრუნვა ფინანსების გამოძებნის საშუალებით.

მაშინვე მოეწყო საფინანსო ქვეგანყოფილება, რომელმაც უმთავრესი ყურადღება მიაქცია სხვა და სხვა გადასახადების შემოღებას. როგორც კი ქვე-განყოფილებამ ცოტა თანხებით ხელი მოითბო, მან, უპირველეს ყოვლისა, შეუდგა თანამშრომლების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლებიც ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ, ვინაიდან ცენტრი არაფერს აწვდიდა და განყოფილება იძულებული იყო დაყრდნობოდა ადგილობრივ საშუალებებს.

ამის შემდეგ შეუდგენ მეურნეობის აღდგენის საქმეს. ამ სფეროში ბევრ რამეს მიაღწიეს. მოწყობილი იქნა საბჭოთა სასადილო და პურის საცხობი, რომლითაც დიდ კონკურენციას უწევდნენ კერძო წარმოებებს. იქნა მოგვარებული აგრეთვე ფერმის მუშაობა.

ამ სახით მუშაობა გადაეცა აღმასკომს, რომელმაც განაგრძო მუშაობა კიდევ მეტი წარმატებით. თავის მხრივ აღმასკომმა ხელი მიჰყო შენობების შეკეთებას.

მან შეაკეთა: პარკი, საზოგადო სასწორი და ზოგიერთი ნაციონალიზაციით ჩამორთმეული სახლები. განზრახვა ფრიად მნიშვნელოვანი იყო, ხოლო მის განხორციელებას აფერხებდა ფინანსების სიმცირე, და ყოველივე ზომებს ღებულობდენ ამგვარ წყაროს აღმოსაჩენად. აღმასკომი შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე,—დაიბეგროს მოაგარაკენი სასხზონო და საბინაო გადასახადებით, რაზედაც მიიღო ნებართვა. ამ საშუალებით შესაძლებელი გახდა ელექტრონის სადგურის მოწყობა, რის შემდეგაც შეუდგენ ელექტრონის წისქვილის მოწყობას. აღმასკომის შემდეგი ღვაწლი მდგომარეობს იმაში, რომ მან გაზაფხულზე დათესა 15 დესიატ. მიწა, რომლის მთელი მოსავალი უნდა გადავიდეს სათესი მასალების ფონდში. ამ ჟამად უკვე შეუდგენ მოსავალის აკრეფას და მოელიან დაახლოვებით 2.000 ფუთამდე მარცვლეულობას და 1000-დე ქართოფილს.

შემდეგ მანგლისის გარშემო მოიპოვებოდა ისეთი მიწები, რომლებიც გამოსადეგი იყვნენ შენობების ასაგებად და ბოსტნების გასაშენებლად რომლებიც იჯარით იქნა გაცემული კერძო პირებზე, მოსავლიდან 20 პროცენტის გადარიცხვით კომუნალურ მეურნეობის საჭიროებისათვის. გადასახადის ერთეულად შემოღებულ იქნა ქართოფილი. ეს მისცემს განყოფილებას 300 ფუთ ქართოფილს. მანგლისში შეაკეთეს რამოდენიმე ხიდი, რის შემდეგაც შეუდგენ გზატკეცილების შეკეთებას. მუშაობა სწარმოებდა წარმატებით და მოი-

ამხანაგი სალომე

1.

— სალომე...

გონიერი, გამჭრიახი, მოხერხებული მუშაკი ქალი შეიქმნა ამხ. სალომე

— ... ჰოო, გაბედულიც ყოფილა; ორატორული ნიჭითაც თურმე საკმაოთ არის დაჯილდოებული. თბილისში, საქართველოს ამ ცენტრში, ქალებში უკეთესი ჩვენ ჯერ სხვა არავინ მოგვეპოვება.

— მართალია...

— მართალს ამბობ...

გუშინ № ფაბრიკაში შემთხვევით მოვხდი; იქ ამხ. სალომეს უპარტიო მუშა ქალთა პატარა მიტინგი დაენიშნა. მიტინგზე თითონ გამოსულიყო და ამბობდა სიტყვას. მე ყური დაუგდე მის ლაპარაკს ოჰ რა კარგი, როგორი მომხიბლავი იყო მისი ცეცხლსავით ანთებული, ნაპერწკლების მფრქვევი სიტყვები. მსმენელი მშრომელი ქალები აღტაცებაში მოვიდნენ.

მისი ეშხით სავსე, ლამაზი ნაზი ღიმილი, ზარივით წკრიალა ტკბილი ხმა ამხ. სალომეს მჭერმეტყველობას მიმზიდველ ანდამატათ ხდის.

ისე კი ლაპარაკში როცა უკვირდები ეტყობა, რომ თეორეტიულათ მომზადებული არ არის, სუსტია; პოლიტიკურადაც მოუმწიფებელი უნდა იყოს, კომპარტიის ახალი წევრია, მაგრამ მისი ენერგია და ნიჭიდან სჩანს, რომ ამ ნაკლს ჩქარა შეივსებს და ახლო მომავალში ჩვენ გვეყოლება ამხ. სალომეს სახით ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი ქალთა შორის.

— ჩვენ გვმართებს შესაფერი მოპყრობა მისადმი. წავახალისოთ უნდა, ასწიოთ სულით მაღლა, უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ამ ღირსებას ჩვენ მასში ვხედავთ, ვუწევთ ანგარიშს და ვაფასებთ.

ასე ლაპარაკობენ პასუხისმგებელი ამხანაგები ამხ. სალომეზე იმ რაიონში, სადაც ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხანია რაც წარმოუგზავნია ცენტრს და ეწევა მუშაობას.

2.

ამხ. სალომე დანიშნული არის თბილისის მე-№-ე რაიონში, რაიპარტკომთან არსებულ ქალთა განყოფილების გამგეთ.

ხსენებულ სფეროში მოხერხებულ პრაქტიკული მუშაობით სალომემ ჩქარა მოიპოვა ამხანაგებში ნდობა და გავლენა, სადაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ პარტიის წევრთა საერთო რაიონულ კრებაზე, იგი წამოყენებულ იქნა, როგორც საუკეთესო კანდიდატი და გაყვანილია კიდეც რაიპარტკომის წევრათ.

კიდევ მეტი.

დღეს ამხ. სალომე რაიპარტკომის პრეზიდიუმის წევრიც არის.

ამრიგათ ეხლა ამხ. სალომე ხელმძღვანელი და, რაიონული მასშტაბით, ერთნაირი პოლიტიკის მჭედელიც გახდა თბილისის ერთ მნიშვნელოვან რაიონში.

...პარტიულ თუ უპარტიო ქალთა კრებაზე და კონფერენციებზე—არა მარტო აღნიშნულ თავის რაიონში, არამედ თბილისის სხვა რაიონებშიაც,—ამხ. სალომე გამოდის ხოლმე როგორც მომხსენებელი ან მიმსალმებელი.

ამხ. სალომე ერთ უნიჭიერეს ორატორ ქალათ ითვლება ამხანაგ ქალებში და თუ არა მას, მაშ სხვას ვის წამოაყენებენ და გაგზავნიან?

ამხ. სალომეც იფერებს ამ მოპყრობას.

„ალბათ იშვიათი უნარით და ცოდნით აღჭურვილი მუშაკი ქალი ვარ, რომ ძველი პარტიული ამხანაგები ასე მექცევიან, ასე, მიწევენ ანგარიშს, თორემ მარტო ჩემი სილამაზე ხომ აბა ვერ მიიქცევდა მათ ყურადღებას... ხოლო თუ ეს ასეა მაშინ მეც უნდა ვიცნო ჩემი თავი ასეთად დავაფასო ის და შესაფერათ დავიჭირო შემდეგში თავი.—ჰფიქრობს ამხ. სალომე გულში.

3

სალომეს მოხერხებულმა ორგანიზაციულმა მუშაობამ ამხანაგებს დაანახვა, რომ მიცემული სამოქმედო სარბიელი ამხ. სალომესთვის ვიწრო იყო, რომ იმათი აზრით სალომეს ბევრათ უფრო მეტი ასპარეზით შეეძლო მუშაობა.

— „ამხ. სალომე დიდი მასშტაბით მომუშავე ქალი არის.

— „კი... სალომე, სხვა უფრო მაღალ და რთულ სახელმწიფო მშენებლობის დარგებში სამუშაოდაც უნდა იქნას გამოყენებული“.—ამბობენ მაზე ამხანაგები.

მართლაც მარტო ქალთა წრეში ტრიალით არ განისაზღვრება ამხ. სალომეს მუშაობა; პარტიულ თუ საბჭოთა მაღალმა ორგანოებმა იწყეს მისი მუშაობაში ჩაბმა, როგორც თბილისის ისე სახელმწიფო ფარგლებით.

ამხ. სალომე ხშირად იგზავნება კრება-მიტინგებზე გამოსასვლელათ სხვა და სხვა მუშათა ცეხებში; იგი ხშირად ევლინება მაზრებს, პროვინციებსაც სხვა და სხვა სახელმწიფო მშენებლობის კამპანიის ჩასატარებლად.

დღეს ამხ. სალომეს უკვე იცნობს ფართო საზოგადოება, როგორც აქტიურ, პასუხისმგებელ მუშაკს.

პარტიული ამხანაგები—და ნაწილობრივათ საბჭოთა აღმშენებლობის სამსახურში ჩაბმული უპარტიოებიც. პირველ რიგში კანდიდატათ ამხ. სალომეს აყენებენ თუ კი სადმე ვისმეს გაგზავნა გახდა საჭირო ამა თუ იმ კონფერენციის დელეგატათ.

უნდა ითქვას, რომ ახალ პარტიულ მუშაკის, ამხ. სალომეს, სახელის ასე ზრდა ბევრ ძველ ამხანაგებს გადაჭარბებულათ ეჩვენებოდა. უსიამოვნებას ჰგვრიდა; აგრეთვე ეჭვს იწვევდა მათში ის გარემოება, რომ ყოველივე ამას ცუდი გავლენა არ მოეხდინა სალომეზე და თვითგანდიდების გრძნობა არ გამოეწვია მასში.

— არ არის კარგი ასე განდიდება ამხანაგის. მით უმეტეს ახალგაზრდასი, ახალ პარტიულ მუშაკის...

— არ ვიცი, მე ვერაფერი გამიგია... ჩვენი მდივანი, ჩვენი ძველი ამხანაგი, გოგი—სულ მის ქება-დიდებაშია, სულ მის მზეს ლოცულობს; ენაც კი ვერ მოუბრუნებია ისე, რომ სალომე არ ახსენოს, როგორც გაგებული, მცოდნე, მეტად ძვირფასი მუშაკი... ყველგან კრებებზე სალომეს დასახელება—წამოყენების ინიციატორი გოგი არის ხოლმე.. და აქ მეც არ შემიძლია ამიტომ არ ვსცე პატივი მას.

გოგი მაინც განსაკუთრებით მიენდო ამხ. სალომეს. როცა სასწრაფო პარტიულ საქმეების გამო იძულებული ხდება გოგი დროებით მოწყდეს თავის სამდივნოს, თავის ადგილზე ყოველთვის ამხ. სალომეს სტოვებს ხოლმე.

ამხ. სალომეც არ ამბობს უარს მონდობილ საქმეზე. პირიქით იგი ხალისით ეკიდება და ასრულებს მდივნის სავალდებულო მუშაობას.

4

ამხ. სალომე გამოიწაფა, დახელოვნდა მუშაობაში. ამხანაგებს, რომლებსაც მასთან ერთად უხდებათ საპასუხისმგებლო საქმეების კეთება, შეუმუშავდათ სალომეზე ერთობ დიდი წარმოდგენა; მათ დღეს აღარ ჰგონიათ, თუ არის ისეთი სამუშაო პარტიულ თუ საბჭოთა მშენებლობის სფეროში რამ, რომლის შესრულებაც სალომემ ვერ შესძლოს.

სახელმწიფოებრივ მუშაობის თითქმის ყველა დარგებში უხდება დღეს მოღვაწეობა—ამხ. სალომეს.

სალომეს ხშირად აძლევენ ისეთ სასწრაფო ლიტერატურულ სამუშაოებს, რომლისთვის იგი სრულებით გამოუსადეგარია, და რაც მის უნარს და შეძლებას აღემატება. ეს არის მოწოდებების წერა, ორგანიზაციული მუშაობის პროგრამა-პროექტების შედგენა, სააგიტაციო ფურცლებისა და ცირკულიარების გამომუშავება და სხვა.

წერა—ამხ. სალომეს არ ეხერხება, კალამი მას არ ემარჯვება და როცა ამგვარ სამუშაოებს აძლევენ, ძლიერ სწუხდება.

— ვაიმე რა ვქნა! როგორ მოვიქცე, რომ გაკეთება არ შემიძლია?!. უარი რომ ვთქვა, შეიძლება სხვანაირათ განიგონ, სხვანაირათ ჩამომართვან... მერე და ამ დალოცვილებს ჰგონიათ თითქო მე ყველაფრის შემძლე ვყო, და რომ არ შევასრულო ის სირცხვილია: ჩემს პატივმოყვარეობას, ჩემს სახელს დაეცემა ძირს... მრცხვენია!..“—ფიქრობს გულში ამხ. სალომე და იწყებს დაკისრებულის, სისრულეში მოყვანას.

ეს უზიდავი, მძიმე ტვირთის მოკიდება სალომეს მეტად ღლის, აშფოთებს.

ამხ. სალომეში ირღვევა სულის წონასწორობა. ის ჰკარგავს სიმშვიდეს, მისი განწყობილება ამხანაგებთან პირველ სახეს იცვლის. მიმზიდველი ტკბილი ღიმილი ამხ. სალმეს პირზე რაღაც დამცინავ, მძულვარებით ელავსე, ამხანაგებისადმი გაუტანელ ცივ გამომეტყველებით იცვლება. ამას უწყობს ხელს კიდევ ის გარემოება, რომ რაიპარტკომის პასუხისმგებელ მდივან გოგილოში იგი ხედავს მისადმი სიყვარულის ზრდას.

ამხ. სალომეს კი ჯერ არ უნდა ვინმეს დაუახლოვდეს. სალომე გვერდს უვლის ყოველგვარ ასეთ კერძო პირადი ხასიათის საქმეებს, რადგან ჰგონია, რომ იგი შეასუსტებს მის პოლიტიკურ მუშაობას, შეაჩერებს მისი სახელის ზრდის პროცესს.

— არა, ერთი მითხარით მაინც—რა ჭირათ მინდა მე გოგი!.. მე ხომ მუდამ წინ მივდივარ, ვიზრდები, ჩემი პირადი მდგომარეობა დღითი დღე იცვლება.—შარავანდედით ვიმოსები. ხოლო გოგი კი... რაც მე მახსოვს არის ის მუდამ მდივანი,—რაიპარტკომის მდივანი... მართალია მუშა არის, ძველი რევოლიუციონერი, ძველი კომუნისტია, საყვარელ და პატივსაცემ პიროვნებათ სთვლიან, მაგრამ რა ვქნა, ჩემი შესაფერი მაინც რომ არ არის?!.“—ამბობს გულში სალომე.

ამხ. სალომეს მით უმეტეს არ უნდა ცხოვრების ისეთი თანამგზავრი, როგორიც იქნება გოგი, რომელიც მისი აზრით ერთ წერტილზე იყინება, იქიდან დაძრის იმედს არ იძლევა.

ჯერ თუმცა რეალურათ ეს კითხვები არ დამდგარა ამხ. სალომესთვის, მაგრამ იგი წინდაწინ გრძნობს ამის შესაძლებლობას და ეხლავე ცდილობს გადაწყვიტოს ის.

— არა! არა! იგი ტყუილათ ოცნებობს ჩემზე. მე ვერ ვარჩევ მისი ცხოვრების თანამგზავრობას.

— მაშ როგორ უნდა მოვიქცე? ვუთხრა, რომ ჩემი იმედი ნულარ ექნება, შესცვალოს ჩემზე თავისი გრძნობები?..

— არა, ეხლა არ ვეტყვი, ეხლა არაფერს არ ვეტყვი! დეე იფიქროს ისე, როგორც ენებოს. მე მაშინ ვეტყვი, როცა პირდაპირ დამიყენებს კითხვას...

5

ამხ. სალომეში ეს ერთი ხანია სულ სხვა სული ისადგურებს.

იმდენათ კი გაზარდეს მისი სახელი ამხანაგებმა, რომ დღეს მას თვით რცხვენია ერთ ადგილას შეჩერება. ამხ. სალომეს ეხლა უკვე ვეღარ წარმოუდგენია ისეთ ადგილზე ყოფნა, ისე მუშაობის წარმოება, რომ ყოველ კვირა, ყოველ თვე მაღლა არ იწევდეს, არ იზრდიდეს სახელს და პატივმოყვარეობას.

ამხ. სალამეს იმდენათ გაუტკბა პატივი და სახელი, განუვითარდა თავისი გაძდიდების მანია, რომ იგი თითქმის მოსწყდა იმ გამტაცებელ იდეას, რომელიც აზრს აძლევდა მის სიცოცხლეს და საქმიანობას...

სალომე ჩამოეშვა მაღლა ამყვან რევოლიუციის გრძელი გზებიდან, რომელიც იყო დღევანდლამდის მისთვის ერთად-ერთი მიმზიდველი ანდამანტი, მისი ამამოქმედებელი ძალა.

წინათ ამხ. სალომე აკეთებდა რამეს, მუშაობდა იმდენათ ხალისით და გატაცებით, რამდენადაც ჰგრძნობდა, სწამდა, რომ აქ კომუნისტურ იდეას ემსახურებოდა, კომუნიზმის სასარგებლო მუშაობას ეწეოდა, ახალ პროლეტარულ სახელმწიფოს შენების საქმეში კომუნისტისტისთვის სავალდებულო წვლილი შეჰქონდა; ხოლო ეხლა კი გაკეთებულს და გასაკეთებელ საქმეებს სალომე ზომავს „ვაჭრის“ არშინით და აფასებს იმდენათ, რამდენადაც ეს შემმატებელი, გამზრდელი იქნება მისი სახელის, პატივისა და დიდების.

პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეები, როგორც საკუთარი საქმე კომუნისტისა, სალომესთვის თითქო აღარ არსებობს, ეს მის გულში მივიწყებას მიეცა.

სალომეს მიზანი თითქო მარტო სახელისა და დიდების მოხვეჭა გამხდარა.

და აქ ამხ. სალომეს საქმიანობამ დაჰკარგა გულწრფელობის ხასიათი.

თუ წინათ სალომე მშვიდი, ნაზი და მორცხვი იყო, რა პატარა და უბრალო ადგილებიც არ უნდა შეეთავაზებიათ, ყველას აღტაცებით, ეგებებოდა. დღეს ის ასე აღარ იქცევა.

ეხლა ამხ. სალომე ხშირათ ეუბნება ხოლმე თავის უფროს ამხანაგებს:

— არა! ეს ჩემი საქმე არ არის, მე მომეცით უფრო დიდი, უფრო მაღალი ხარისხის სამუშაო, მანდ კი სხვა გაგზავნეთ... წინააღმდეგ შემთხვევაში მე არ ვიმუშავებ. სრულებით ჩამოვშორდები ყოველ გვარ მუშაობასო.

ამხ. სალომე უკმეხი, მოურიდებელიც გახდა, რაც მის კეთილის მსურველ ამხანაგებს ძლიერ აკვირებს.

— რაშია საქმე?..

— რა მოუვიდა სალომეს?.. არაფერი აღარ აკმაყოფილებს; სულ ადგილის რჩევაში, სულ მაღლა მაღლა იწევს ცხვირს..

— უზომოთ გაამაყდა, თავის ტოლ ამხანაგებს აღარც კი უნდა შეხედოს...

— საშინელი მიუკარებელიც გახდა!

— თქვენ არ ვიცი, და მე კი ძმავ, ყოველივე ინტერესი და ხალისი მეკარგება სალომესთან მუშაობისა—უკმაყოფილოთ ამბობენ სალომეს ახლობელი, სალომეს ერთ დროს მადიდებელი და იმედით შემომყურე ამხანაგები.

(შემდეგი იქნება.

ს. თალაკვაძე

მუშათა ცხოვრება

მშრომელთა არტელი „კომუნა“

პასუხათ მტვირთველს.

გაზეთ „კომუნისტის“ 8 აგვისტოს № 180 და 17—აგვისტოს № 188 მოთავსებულია წერილი არტელ „კომუნის“ შესახებ, მტვირთველისა, სადაც აგრეთვე რედაქცია მაძლევს წინადადებას, რომ განვმარტო მტვირთველის წერილი. ამიტომ ვალდებულად ვრაცხ თავს ვუპასუხო შემდეგს: მე ვაწერდი ავტორი ან პირადი ანგარიშებით სწერს და ან გაუკვებრობით მეთქი და, როგორც მისი წერილიდან ჩანს ავტორი მართლა გაუგებრობას შეცდომაში შეუყვანია. იმას ამ წარმოებაზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონია, ვერ გაურჩევია არტელი ხაზეინებიდან და რკინის გზის მუშკოპის წარმოება არტელური წესით თამბაქოს ფაბრიკის ანუ ლიმონათის ქარხნის მუშაობიდან, სადაც მუშები განსაზღვრულ ჯამაგირს იღებენ და ხაზეინები მუშების განუსაზღვრელ ექსპლოატაციას ეწევიან. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ეს კომუნალური არტელია, რომელიც არც სხვას უწევს ექსპლოატაციას და ვერც სხვა ახდენს მის გაყვლეფას. აქ მუშური პრინციპი სავსებით დაცულია და მათი შრომის შემოსავალი ბევრი იქნება თუ ის ცოტა თანაბრათ ნაწილდება წევრებს შორის მოუხედავად მუშაობის არტელური წესით წარმოებისა შრომის პრინციპი და კანონი დაცულია, რამდენადაც ეს ტეხნიკურათ შესაძლებელია. მართალია შრომის ინსპექტორი და ძალთა აღნუსხვის განყოფილების გამგე მობრძანდა არტელში 14 ივლისს არტელის საქმეების გასაცნობათ, მაგრამ მას შრომის კანონების დარღვევაში ისეთი რამ არ აღმოუჩენია, რაზეც ავტორი მითითებს*) ინსპექტორმა მოგვთხოვა, მხოლოდ, რომ საქმეების დროს მუშები შრომის ბირჟიდან მიგვეღო არტელის წევრებათ, რაზედაც არტელის პრეზიდიუმი სავსებით დაეთანხმა. მხოლოდ იმავე დღიდან შრომის კომისარიატმაც დაამტკიცა არტელის წესდება უცვლელათ. მტვირთველი გვითითებს არ გვქონია შრომის კანონი კედელზე დაწერილი და გამოკიდებულიო.

ამხანაგო! კედელზედ კანონების დაწერას და თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებას მნიშვნელობა არა აქვს, მხოლოდ დაწერილი უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში და ჩვენც ვატარებთ. თქვენ ამოფარებიხართ შრომის ინსპექტორის ცნობას, ბრალსა გვდებთ, ვითომ ჩვენ არ მოგვეპოვებოდეს არავითარი საანგარიშო და სხვა მუშებისათვის აუცილებელი საჭირო წიგნაკები და დავთრები, ჩვენ მართალია არ ვაწარმოებთ გაზვიადებულ კანცელარიას, მაგრამ ჩვენ უფრო მარტივად გვაქვს დაყენებული მუშებისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი თანახმად არტელის წესდებისა ყოველ ჯურის საჭირო საანგარიშო წიგნაკები და დავთრებიც, რომლითაც საშუალება აქვს ყველა არტელის წევრს გაიგოს, როგორც თავისი პირადი ანგარიშები, აგრეთვე საერთო არტელის ანგარიშებიც. ამასთანავე დაცულია 8 საათის სამუშაო დღე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ტეხნიკურად მოძრაობის დარგში. რაც შეეხება კულტურული მხრივ მუშაობას ესეც დაცულია: გვაქვს სამკითხველო, გამოწერილია მუშებისათვის სხვა და სხვა გაზეთები, გვაქვს მუშებისათვის გადადუღებული წყალი; სახილხო სადგურში, საქინლის სადგურში, სამხედრო სადგურში და აგრეთვე არტელის სასადილოში. აგრეთვე გვაქვს მუშებისათვის საერთო აბანო, სადაც მუშებს შეუძლიან ისარგებლონ კვირაში სამ ჯერ თავის ცოლ შვილით. მართალია, ჯერ ჯერობით მუშებისათვის ხელსახოცები, პირსახოცები, დღის ხელის საბანი საპნები, მარმარილოს პირის საბანები არა გვაქვს სადგურში მოწყობილი, მაგრამ იმედია თუ თქვენისთანა მუშებისთვის გულშემატკივარი ხელს შეგვიწყობს, სხვა ბევრ უკეთესებსაც მოვაწყობთ მომავალში. რაც შეეხება დამზღვევ და ხმარე კასის კითხვას, თანახმად არტელის წესდებისა ერთიცა გვაქვს და მეორეც და უკეთუ შრომის კომისარიატი და პროფკავშირი მომავალში შესცვლის ჩვენი არტელის წესდებას ჩვენ მზათ ვართ შევასრულოთ მათ ან მოცემული დირექტივები—კანონები დასასრულ მე არავის არ ვემუქრები, ჩემთვის სულ ერთია ის არტელის წევრია თუ კერძო მოქალაქე მხოლოდ მე მოვითხოვ ბრალდების დამტკიცებას ამისათვის სიმართლის აღსადგენათ, სინამდვილის გამოსარკვევათ უკეთუ ავტორი მართლა მუშების ინტერესების დამცველია, მე კატეგორიულად მოვითხოვ ამხანაგი მტვირთველი უშიშრად და აშკარად მობრძანდეს ადგილობრივად არტელში ზემოხსენებული ჩემდამი ბრალდების გამოსარკვევათ და დასამტკიცებლად, ან გაზეთის საშუალებით უკან წაიღოს თავისი უსაბუთო ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლებას ვიტოვებ მტვირთველს უწოდო შესაფერი სახელი.

არტელის თავმჯდომარე **ნ. კობიძე.**

---

*) ჩვენ ხელთ არის „შრომის ინსპექტორის ძირითადი სარევიზიო ფურცელი“, რომელიც ადასტურებს ამხ. მტვირთველის მიერ არტელის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას.

რედ.

უკანასკნელი პასუხი ნ. კობიძეს

თქვენი წერილის შემდეგ საპასუხოდ ბევრი არაფერი მაქვს. თქვენ ალაპარაკებთ რომ ჩემ მიერ აღნიშნულ დეფექტებს ადგილი ქონდა, მხოლოდ სხვანაირათ არ შეიძლებოდაო. ტყვილად ფიქრობთ თითქოს წარმოდგენა არ გვქონდეს არტელის მუშაობის ხასიათზე სადაც გნებავთ იქ დაგიმტკიცებთ, რომ არტელში თავისუფლათ შეიძლება 8 საათიანი სამუშაო დღის განხორციელება. და თუ ეს თქვენთან არ ხორციელდება ეს არტელის გამგეობის ბრალია. მეორე მხრივ 8 საათიან სამუშაო დღის მთავარი აზრი ის არის, რომ მუშის ჯანმრთელობა დაცული იქნას და მის კულტურულ ცხოვრებისათვისაც დრო დაურჩეს. ამიტომაც 8 საათიანი სამუშაო დღე მარტო იქ კი არაა საჭირო, სადაც მუშუა ხაზეინია არამედ იქაც სადაც ხაზეინებათ თვით მუშებია. ის რომ თქვენი სიტყვები არტელი სხვას არ უწევს ექსპლოატაციას და ვერც სხვა ახდენს მის გაყვლეფასო, ვერ გაამართლებს შრომის კანონების, და მათ შორის 8 საათიან სამუშაო დღის, დარღვევას. შრომის დაცვის კანონის შესრულება ყველგანაა საჭირო რა სახის წარმოებაც არ უნდა იყოს.

კანონების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ამაზე არსებობს სავალდებულო დადგენილება. ვალდებულია დაიმორჩილოს მას რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყოველი სახის წარმოება და მათ შორის თქვენი არტელიც. კანონი რომ ცხოვრებაში ტარდებოდეს ამისათვის უპირველად საჭიროა მისი აზრი, მისი შინაარსი მუშებმა იცოდნენ. კანონის თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდება კი ასეთ საქმეს ემსახურება. თქვენ არა გაქვთ უფლება სხვანაირათ მოიქცეთ ამ შემთხვევაში და თუ მოიქცევით ეს იქნება შრომის კანონების დარღვევა.

თქვენ წარმოდგენაც კი არ გქონიათ საანგარიშო წიგნაკზე. ის წიგნაკი, რომელსაც თქვენ ასახელებთ არის კავშირის საწევრო წიგნაკი და არა საანგარიშო. შეიძლება დავთრებიც ბევრი გქონდეთ, მაგრამ ვერც ის გამოდგება საანგარიშო წიგნაკათ.

პირსაბანისა და სხვების შესახებ თავს იმით იმართლებთ, რომ ყველივე ეს შემდეგში გვექნებაო. არტელი საკმაო შეძლებული დაწესებულებაა, ის საქვეყნოდ საქმეებს მრავალ მილიონებს აწარმოებს—და კარგადაც იქცევა—ხოლო თუ პირსაბანი და სხვა მიუცილებელი ნივთები ვერ შეიძინა, ეს პირადათ თქვენი დაუდევრობის ბრალია.

შრომის ინსპექტორის ძირითადი სარევიზიო ფურცელი ამ ჟამად რედაქციას აქვს გადაცემული და კარგი იქნება კობიძე გაეცნობოდეს მას, რათა ამით არ დაგვდვას გადამეტებაში ბრალი. იქვე იპოვის ის ამ წერილში უპასუხოთ დატოვებულ მისი წერილის ზოგიერთ მუხლებზე პასუხსაც.

მტვირთველი.

მუშკოპის 2 ფურნე

ფურნეებში მუშაობა მეტად მძიმე პირობებში სწარმოებს. მუშაობის პროცესში ერთიანათ ვსვრებით ფქვილით და ან ზაფხულის სიცხე პაპანაქებაში ცეცხლზე ვიწვით. ამიტომაც ხშირ-ხშირათ აბანოს ჩვენი დარგის მუშებისათვის მიუცილებელია აქ არსებობს აბანოს მზგავსი მაგრამ მას სჭირდება შეკეთება და მოწყობა რომ ჩვენ მით სათანადოთ ვისარგებლოთ. ეს სხვათა შორის საჭიროა გამომცხვარ პურის სიწმინდისათვისაც, რაც კომისიამაც აღიარა. მუშკოპს მართებს ამ აბანოს გაფართოვება და შეკეთება.

მ—რნე.

ტვირთ-გადამზიდავი მუშები ქუთაისში

თუ თქვენ თვალს გადაავლებთ ქუთაისის ტვირთ-მზიდავი მუშების ჯგუფს, დაინახავთ, რომ მათ რიცხვში არ არის არც ერთი მცირეწლოვანი მუშა.

იგინი ძველად და ახლაც დაახლოვებული იყვნენ პროფკავშირების მუშაობასთან და ნაწილი მუშებისა კიდევაც ითვლებიან რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლ მუშებათ. ამ ნაწილში 15—16 წლის გამოცდილებას ატარებს სხვათა შორის ძმა—**ფილიპე და მელიტონ იოზაშვილები..**

მართალია ისინი „კურტნიანი“ ბაზრის მუშები არიან, მაგრამ მათაც შეუგნიათ ყოველივე ის, რაც ყველა მუშა-მშრომელისათვის საჭირო და აუცილებელია.

საჭიროა კავშირი კიდევ უფრო მეტ დროთ ჩაებას ამ დარგის მუშებს თავის საკავშირო მუშაობაში.

დ. ღ.

გაზეთის ტრესტის კანტორა

გაზეთის ტრესტის კანტორის მოსამსახურეები ცუდ პირობებში მუშაობენ იმ სახით, რომ ოთახი, სადაც ისინი მუშაობენ, სრულიად უვარგისია სამისოთ. ერთ პატარა და ვიწრო დერეფანში 10 მაგიდა სდგას და კიდევ უფრო მეტი მოსამსახურეა. რამდენჯერმე მიაქცია შრომის დაცვის განყოფილებამ ამ გარემოებას ყურადღება მაგრამ ამაოთ ასეთ პირობებში ზამთარში პირდაპირ შეუძლებელი გახდება ნორმალური მუშაობა. ამაზე აქედანვე საჭირო დაფიქრება და ზრუნვა.

უპატრონო ავადმყოფი

იზმაილოვის ქუჩის დასაწყისში აგერ სრული ერთი თვეა რაც ქუჩაში ცისქვეშ წევს სრულიად უპატრონო ავადმყოფი. როგორც გამოირკვა, ის არის ტვირთმზიდავი მუშა და მას მეტი ბინა არა აქვს. სასურველია ყურადღებას მიაქცევდნენ და სადაც რიგია იქ გაგზავნიდნენ.

ქუთაისი

აქედან ყოველ თვიურათ აგზავნიან 10 კონდუქტორს ტფილისში კონდუქტორთა კურსის დასამთავრებლად. ეს გარემოება იწვევს დიდ ხარჯებს და, რაც მთავარია, კონდუქტორების საქმეზე მოცდენას. ნუ თუ არ შეიძლება კურსების ადგილობრივად მოწყობა. ეს საქმისათვის უფრო სასარგებლო იქნება, რადგანაც გაგვანთავისუფლებს იმ უზომო ხარჯებისაგან, რომელიც ტფილისში ქუთაისურ კონდუქტორის შენახვას სჭირდება. რკინის გზის სამმართველოს მართებს ამაზე დაფიქრება.

რკინისგზელი.

მუშათა დასასვენებელი სახლი.

(მუშათა აგარაკები).

გაზ. „ტრიბუნა“-ში მოთავსებულია კორესპონდენცია მცხეთიდან ასოთამწყობის, ამხ. დ. მელაშვილის, მუშათა დასასვენებელი სახლის შესახებ. მოგვყავს ამ წერილიდან რამოდენიმე ადგილი:

„სადგური მცხეთის მახლობლად, ტყის პირას, იქ, სადაც არის ღმერთული სიმბოლო ჩაკრული ხალხის თავისუფლების მუშათა სისხლში ამოვლებული წითელი დროშები—წარწერები გვაუწყებენ, რომ „აქ არის დასასვენებელი სახლი პროფკავშირის წევრებისა... ე. ი. მუშათა საზაფხულო აგარაკები“.

„მუშები ორივე სქესისა მოთავსებული არიან სუფთა და ჰიგიენურად დაცულ ოთახებში. კვება მუშებისა ხდება მუშათა შორის ამორჩეულ საკანტროლო კომისიის განკარგულებისა და მათი მეთვალყურეობით დილის საუზმე და ჩაი ეძლევათ 8 საათზე. სადილი ნაშუადღევს 3 საათზე და ვახშამი საღამოს 8 საათზე. ყველაფერი ეს ხდება არა სეპარატიულად. არამედ ერთ დროს, ზარის დაკვრის სიგნალით. დაირეკება ზარი და თქვენს თვალ წინ იშლება არნახული: ტყიდან გამოიშლებიან გაზეთებით და წიგნებით ხელში შვებას მიცემული მუშები და იყრიან თავს დამზადებულ სასადილოს გარშემო. სადილი რძის გამონაკლისით ეძლევათ განუსაზღვრელად და მზადდება საუკეთესო პროდუქტებისაგან სახლებს ჰყავს საუკეთესო მზარეულები და მთელი შტატი მოსამსახურეებისა; არის იქ მი, სამკითხველო, გიმნასტიკური საჭნელი და სხვა. პერიოდული გამოცემები, მოდის „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „ტრიბუნა“, „ზარია ვოსტოკა“, „მუშა“, ჟურნალი „ხათაბალა“, „კარმირ ასტღი“ და მრავალი სხვა.

სამკითხველოს განაგებს მუშათა შორის ამორჩეული ამხანაგები. დილის საუზმის, სადილის და ვახშმის შემდეგ მთელი მუშები სიმღერით კვლავ ტყეებში იფანტებიან და ცივ წყაროებთან ატარებენ დროს, ხოლო ღამის 11 საათზე, ე. ი. ზარის დაკვრის შემდეგ ყველა თავის ბინაზე იყრის თავს და ეძლევიან ძილს. ასეთია მოკლეთ მუშათა დასასვენებელი ახლად მოწყობილი სახლების მდგომარეობა და ყველაფერი ეს ჩვენ კი არ გვიკვირს, არამედ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი ახლად გამარჯვებულ მუშათა კლასის მოპოვებულ ძალა უფლებისა.

ასეთივე დასასვენებელი სახლები გახსნა აგრეთვე რკინის გზის პროფკავშირმაც. და ყველა ეს მოწყალება კი არ არის, არამედ იგი კეთდება მუშების საკუთარი ხელებით, მისი ინიციატივით.

მშრომელი ხალხი თავის კეთილდღეობისთვის დღეს თვითონ ზრუნავს და ამ მუშათა კეთილდღეობას წინეთ გააფთრებით ებრძოდა ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ბურჟუაზია, ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ თავის თავის „დასვენებაზე“. მის განკარგულებაში იყო მთელი რესპუბლიკის საუკეთესო აგარაკები, კურორტები და მთელი მინერალური წყლები და ასეთ მდგომარეობაში მყოფი განცხრომის ძენი ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, თუ სადღაც ბნელ ჯურღმულებში წლით წლობამდე იტანჯებოდნენ ადამიანები, რომელნიც გაჩენილ ყვნენ ვითომდა მხოლოდ იმიტომ, რომ უზომო შრომით ესიამოვნებინათ პარაზიტების ხროვა. ეს იყო წინეთ.. დადგა მომენტი, მუშათა კლასმა გაწყვიტა თავისუფლების შემბორკავი ჯაჭვები,—პროლეტარიატმა სისხლით და ბრძოლით მოიპოვა ყველაფერი ის, რითაც ის დღეს სარგებლობს“.

სად არის სამართალი?

ორი თვეა ბავშვი მყავს ავად. ვერაფერი უშველე. ექიმებმა მირჩიეს: ძალიან ნოტიო სახლში დგეხარ, სოფელში გაგზავნე და უეჭველად მოიკეთებსო. როგორც იქნა შევაგროვე ბილეთისა და ერთი ფუთი სიმინდის ფასი და 22 აგვისტოს მივედი სადგურზე ბილეთის ასაღებად. სამგზავრო მატარებლით უნდა გამეგზავნა. ჩავდექი რიგში. თორმეტი კაცი იყო ჩემ წინ. მე ვეღწიე კასასთან. ორი ბილეთი უნდა მეყიდა. „კასირშასთვის“ რომ შრომა გამეადვილებინა, ბილეთების ფული ცალ ცალკე გადავიწყე. იმ სადგურამდე (ნიგოითი), საცა ოჯახობას ვგზავნიდი, ბილეთი ღირს 365,00. მან „კასირშამ“ ცალ-ცალკე დაწყობილი ფული ერთმანეთში აურია, დასთვალა და 30,000 ნაკლები გამოუყვანა. როცა შევნიშნე, რომ ფული სრული იყო და შემცდარი ხარ მეთქი, უკანვე გადმომიჩარა შემდეგი სიტყვებით: ჩემი თუ არ გჯერა, წადი და ეხლა შენ დასთვალეო. მე რომ იმის თვლას შევდგომოდი ეს იმას ნიშნავდა, რომ სულ უბილეთოდ დავრჩებოდი. მეტი რა გზა იყო, ავიღე და ეს ოცდაათასიც დაუმატე. ამის შემდეგ ბილეთი მომცა მაგრამ... რა და მაგრამ... მე წვრილი შვილების პატრონი ვარ, 7 სული მყავს სარჩენი. ჯამაგირით აბა რას გავაწყობ ამდენ სულთან. 30 ათას მანეთით ხუთ გირვანქა პურს ვყიდდი და ერთ დღეს გამოვკვებავდი ჩემ შვილებს. ქალბატონ „კასირშამ“ კი ხელიდან გამომტაცა და ჩემი ბავშვები ერთი დღით ულუკმაპუროდ დასტოვა. რა ჰქვია ამას, დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება? სად არის სამართალი?

აქ მინდოდა წერტილი დამესვა მაგრამ უსამართლობა ისე ხშირია, რომ „წერტილისა“ და „მძიმის“ ადგილი „კითხვითი“ და „გაკვირვებითი“ ნიშნებმა დაიჭირა. საქმე შემდეგშია: ბილეთის აღებისთანავე „პერონნი“ ბილეთიც ვიყიდე, რომ კარში გავსულიყავ და ბავშვი თავის დედით ვაგონში შემეყვანა. მივადექი გასასვლელ კარებს. აქ დარაჯი დამხვდა და აღარ გამიშვა: ვაგონი სავსეაო. მივიხედე უკან და ბილეთების კასა ღია იყო და განუწყვეტლივ იყიდებოდა ბილეთები. ეს ახლად აღებულ ბილეთებიანი მოდიოდნენ და იგივე დარაჯი მათ უშვებდა. ვერ გავიგე რაში იყო საქმე. თუ იმათთვის იყო ადგილი ვაგონში, რატომ ჩემთვის არ უნდა ყოფილიყო? მთელი ათი წუთი ამაოთ ვეხვეწებოდი ამ დარაჯს, რომ კარში გავეშვით მაგრამ არ იქნა და არა. შემდეგ გამოჩნდა კეთილი ადამიანი, რომელმაც დარაჯს გააშვებინა ჩემი თავი. როგორც იქნა ოჯახობა ჩავსვი ვაგონში და დასაჯდომი ადგილიც უშოვნე. ჩემს შემდეგ კიდევ ოცამდე კაცი შემოვიდა ამავე ვაგონში და ბინა იშოვნა. მე კი ვფიქრობ და ჯერაც ვერ გამიგია რისთვის არ მიშვებდა დარაჯი?

ვიქტორ წულაძე.

...ტანა კარგი შედეგები: ამ ჟამად, მინდვრის სამუშაოების გამო, შეკვეთები შეჩერებულია, მაგრამ ის განახლებული იქნება შემოდგომაზე.

ხ. არუთიუნოვი.

წყნეთის თემი.

(თბილისის მაზრა).

შაბათს 18 აგვისტოს მსახიობ საფაროვის ინიციატივით წყნეთის თემში გაიმართა წარმოდგენა („ძონწო“). წარმოდგენას დაესწრო უმრავლესობა გლეხობა და აგრეთვე მოაგარაკე ინტელიგენცია. გამართულმა წარმოდგენამ მაყურებელთა შორის დასტოვა კარგი შთაბეჭდილება. მეორე დღეს, ე. ი. კვირას 20 აგვისტოს მაზრის კომიტეტის მიერ მივლინებული ამხ. გ. მ. მიროტაძის და ვ. ლეჟავას მიერ ჯერ დილითვე იქნა მოწვეული კომჯგუფის კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. მიროტაძემ მიმდინარე მომენტზე. მომხსენებელი შეეხო ესერების პროცესის და ჰააგის კონფერენციის ჩაშლის მიზეზებს.

მოხსენების შემდეგ შემთხვევით მოვიდა კრებაზე შეერთებულ ბრიგადის საავადმყოფოს სამხედრო კომისარი ამხ. საკინჭილაშვილი, რომელმაც ამხანაგების დავალებით მოხსენება გააკეთა სამღვდელოების კონტრ-რევოლუციონურ როლის შესახებ, კერძოდ აღნიშნა, თუ როგორ უშლიდა ის ხელს მთავრობას რუსეთში დამშეულთა დახმარების საქმეში.

კომჯგუფის კრების დამთავრების შემდეგ გლეხ-კაცობა იქნა მოწვეული ადგილობრივ სასწავლებლის დარბაზში. ამხ. საკინჭილაშვილს დაავალეს ადგილობრივ კომჯგუფის წევრებმა, რათა მას გაეკეთებინა მოხსენება უპარტიო გლეხკაცებისათვის. დაახლოვებით საათის 11 ზე კრება იხსნება ალმასკომის თავმჯდომარის ფარესაშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც მიმართავს მშრომელ გლეხკაცობას შემდეგი სიტყვებით: „მოქალაქენო, თქვენ ყველამ იცით, რომ გლეხ-კაცობა საერთოთ და განსაკუთრებით წყნეთის თემში მთელი კვირის განმავლობაში იმყოფება სამუშაოზე სხვა და სხვა შორეულ ადგილებში და ჩვენმა მთავრობამაც ეს ყველაფერი იცის და ამის გამო, რომ თქვენ საქმეს დღეს არ მოსცდეთ, ამიტომ დღეს კვირა დღეს აქ არიან ჩამოსული ქალაქიდან ამხანაგები, რომლებსაც სურთ გაგაცნოთ იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია განსაკუთრებით საბჭოთა ფედერაციაში და აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში“. სიტყვა ეძლევა ამხ. საკინჭალაშვილს. ამხ. საკინჭილაშვილი ახასიათებს რა საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობას, აგრეთვე ეხება ჰააგის თათბირს და აღნიშნავს მის დამარცხების მიზეზებს. შემდეგ მომხსენებელი ეხება ესერების პროცესს და აგრეთვე სამღვდელოების მოქმედებას დამშეულთა დახმარების საქმეში.

დასასრულ საზოგადოება ყველა კრულვით იხსენიებს იმ სამღვდელოებას, რომელიც მუდამ ჟამს უშლიდა და დღესაც ხელს უშლის მშრომელ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ვ. ლეჟავა.

სარედაქციო კოლეგია

დამწუხრებულნი ძმები ალექსანდრე და დომენტი კილასონია, რძლები ვადასი, ნატალია და დესპინე, დები მინა და ესმა, ძმებისა და დისწულები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 21 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

რკინის გზის მთავარი კონდუქტორი

თეოფილე ტარიელის-ძე კილასონია

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია რკინის გზის საავადმყოფოდან 24 აგვისტოს, ხუთშაბათს შუადღის პირველ საათზე და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1

გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება. (0—27)

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის შტოს გამყვანი კანტორა

აცხადებს, რომ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზაზე ხელოვნური მოწყობილებათა აშენება გაცემულ იქნება იჯარით. ამ მოწყობილებათა ნაშენობის არე იქნება დაახლოვებით 300 კუბ. საჟ.

იმ პირთ, ვისაც სურთ თავს იდვან ამ მოწყობილებათა აშენება, უნდა შეიტანონ ოზურგეთის კანტორაში განცხადება 25 აგვისტოს არა უგვიანეს 12 საათისა; მუშაობის ერთეული ღირებულების აღნიშვნით.

განცხადების ბლანკი მიეცემათ ქ. ოზურგეთის კანტორაში.

№ 20. 2—1

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ აგენტები აჩერებენ 2—3 დღის გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით იგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში. (0—7)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკონომიური ნაწილი

იწვევს 28 აგვისტოს, 12 საათზე

ყველა მათ ვისაც სურს თავის თავზე აიღოს აჯიკაბულის ყინულის დასამზადებელ ქარხნის მექანიკური მოწყობილობის შეკეთება. მუშაობის პირობების შესახებ განცხადების მიღება და ცნობების მიცემა სწარმოებს სამმართველოს საყინულე განყოფილებაში ოთახი № 57. (კრ. 190—2—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—19)

დავკარგე სამწიფის მოწმობა № 218, მოცემული ქუთაისის მეორე გიმნაზიიდან ჩემს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. გიორგი სპირიდონის ძე ცქიტიშვილი. (270—1—1)

დავკარგე მე ნადია სოლომონ ჯორბენაძის ასულმა ატესტატი 8 კლასის კურსის დამთავრების მოცემული ფოთის ქალთა გიმნაზიიდან. 1921 წელს. № 298 რაიც ჩაითვალოს გაუქმებულათ. (3—3)

დაიკარგა მოწმობა № 12,598 ლაზარე ივანეს ძე კარაპეტიანის სახელობაზე. № 268. 2—1

ტირაჟი 10,000. ნ. ჟ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.